# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 64 შაბათი, 21 მარტი 1909 წ. № 64

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვეებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს უკან არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 16 მარტს მეტეხის ციხეში გარდაიცვალა სტუდენტი

**ბორის ივანეს ძე პროზინი,**

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებსა და მეგობრებს განსვენებულის ნათესავები. პანაშვიდი კვირას, 22 მარტს, ნაშუადღევის 1 საათზე, ქვაშვეთის ეკკლესიაში. (2—უ.—1)

შაბათს, 24 მარტს,

**იულია ვასილის მის გოცირიძის**

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ქუთაისის საფიჩხიის ეკკლესიაში, წირვის შემდეგ, გადახდილი იქნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. (1—კვ.—1)

ქვრივი **ოლიმპიადა** (ოლია) **დავითის ასული,** მშობლები **ანასტასია ქაიხოსროს ასული** და **პეტრე ვასილის ძე,** დები **ნინა** და **ვერა პეტრეს ასულნი,** ძმები **დავით, ვასილ, ვანო** და **პიმენი პეტრე ძენი წულეისკირები, პელაგია გიგოს ასული** და **ბაბო გიორგის ასული წულეისკირისანი,** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას: ოდესის უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტის

**გრიშა პეტრეს მის წულეისკირისას.**

მიცვალებულის გამოსვენების დღედ დანიშნულია კვირა, 22 მარტი, 3½ საათი, საკუთარ სახლიდან (დადიანის ქუჩა, N 8), საფიჩხიის სასაფლაოზე. (2—კვ.—2)

13 მარტს ღამე ქუთაისში ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სტატსკი სოვეტნიკი

**ლევან ტიმოთეს ძე ჯაყელი,**

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა **თეოდოსია პეტრეს ასული,** შვილები: **ლევან, ნიკოლოზ, ნინო, ალექსანდრე,** ძმა **გრიგოლ ტიმოთეს ძე** და დისწული **ელისაბედ ალექსანდრეს ასული ჯაყელი.** გამოსვენება დანიშნულია პარასკევს, 20 მარტს, 5 საათზე, გენერლის ქუჩა. ცხედარი წასვენებული იქნება ქუთაისის ვოგზლიდან ოზურგეთში, სადაც დაკრძალავენ 21 მარტს ექადიის წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში. (2—კვ.—2

**ელექტრო-სტამბა**

**მიხეილ დავითის ძის კიკნაძისა**

(წინად „იდეალი")

**● გ ა დ ა ვ ი დ ა ●**

ნიკოლოზის ქუჩიდან—ელისაბედის ქუჩაზე, სახლი პრიკაზჩიკოვისა, № 17.

სტამბა ახლად მოეწყო, შეიძინა ახალი შრიფტები, მორთულობანი და ასრულებს ყოველგვარ სასტამბო საქმეს (გარდა ყოველ დღიურ გაზეთებისა) სუფთად და იაფად—რუსულს, ქართულს ფრანგულს და სხვ. ენებზედ. პატივისცემით **მ. კიკნაძე.** (5—4)

მიღებულია

**აბრეშუმის თესლი**

ყვითელ ფრანგულ ჯიშისა უმაღლეს თვისებისა.

**ა. დიუმა** მიხეილის პროს.. № 140. ეზოში.

(5—ნასყ.—4)

[...]მით საყოველთაოდ იუწყება, რომ ერთად-ერთი წარმომადგენელი ყოვლად საუკეთესო უტყუარ

**„პასხალიდის"**

**—✦ აბრეშუმის თესლისა ✦—**

მთელი გურიისა და ბათუმის ოლქისა არის

[...]ათე გაბრიელის ძე რუსიძე, რომლის კანტორა და თესლის უმთავრესი საწყობი იმყოფება ქ. ბათუმში, მარინსკი პროსპ., სახლი № 34, პოლიციის გვერდზე.

**განყოფილება: მიხაილოვის ქუჩა, კანტორა „იმედი".**

[...]ლს ეს თესლი, გასულ წლებთან შედარებით, **ბევრად იაფია,** ვინაიდან [...]ირმასთან არის შეკრული მრავალ-წლიური პირობა და დიდი „ზაკაზიც". [...]სლის მყიდველები რაც ადრე მეიძენენ, იმდენად იაფად დაეთმობათ. (9—ჩხ—6)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი [...]დივანისა. (უ)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხაროვსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით [...]—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—106)

**ექიმი ი. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი [...]—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სახელმწიფო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის [...] ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—83)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ.—23)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—დ.—87)

**ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—37)

**ექიმი** ქუთაისში **ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს [...] დღე დილით 12—1 ს. საღამ[...] 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 11. (უ)

ახლად გახსნილი

**ტფილისის**

**კერძო სამკურნალო**

გარედან უოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

**გ. მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი.**

**ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

**ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—18)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ამხ.**

**„კოლხიდაში"**

იყიდება პარიზიდან გამოწერილი **იონჯა** (провансальская люцерны) **შემოწმებული აბრეშუმის გრენი** საიმედო ფირმებისა **„პასხალიდი"** და სხვა ხეხილის ნერგები და სხვა. საჭირო ცნობები და პრეის-კურანტების მიღება შეიძლება გამგე **გ. მ. ჩივაძისაგან.** (20—6—10)

**საჭიროა აგენტები**

**გაზეთების გასასყიდად:**

გორში, ლანჩხუთში და ჩოხატაურში. აგენტებს ექნება შემოსავალი თვეში

| | | | |
|---|---|---|---|
| გორში | 40 მ. | გირაოდ საჭიროა | 30 მ. |
| ლანჩხუთში | 18 მ. | — — | 20 მ. |
| ჩოხატაურში | 13 მ. 50 კ. | — | 15 მ. |

დაწვრილებით პირობის გაგება შეიძლება; Тифлисъ, товарищество „Сорапань", М. Гачечиладзе. (5—6—2)

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის ალმასრულებელი**

სთხოვს ბ-ნთ თავად-აზნაურთ ტფ. გუბერნიისას, მობრძანდნენ ამა წლის 21 მარტს, საღამოს 8 საათზე, თავად-აზნაურობის დეპუტატთა სადგომში (ბელინსკის ქუჩა, № 2).

**თავად-აზნაურთა საგუბერნიო საგანგებო კრებაზე.**

გასარჩევი საგანი:

საფინანსო კომისიის მოხსენება თავად-აზნაურობის ფულის ანგარიშის შესახებ. (3—6—3)

**ლაკომობილები**

ნაკლებ ნახმარი რუსტან პროქტორის ქარხნისა 6 და 4 ძალიანი და რეზინის სასრუტავები (центробѣжныя насосы) 6. იყიდება მ. გ. ბოტკინის საზეინკლო-საამშენებლო მექანიკურ სახელოსნოში, ელისაბედის ქუჩა, № 115. (5—139—4)

**ალმანახი „უანა"**

22 მარტს გამოვა გადიდებულის ფორმატით მეორე ნომერი **სალიტერატურო-სამეცნიერო ალმანახის „უანა"**-სი შემდეგის შინაარსით:

შინაური ხაოსი—რა არის საჭირო?—სამწუხარო ეპიზოდი მე-80 წლების განმათავისუფლებელ მოძრაობიდან.—იმედები ბურჟუაზიაზე.—ფიქრები.—რუსეთის ცხოვრება.—კაცობრიობის განვითარების მოკლე ისტორია.—მოთხრობა „ქართველი დედა" და ლექსები. (1—1)

**ს. მესხის ნაწერები**

ავტორის სურათით და ავტოგრაფით წიგნი შეიცავს დიდი ფორმატის 533 გვ. წინად ღირდა **1 მან.** და ეხლა **30 კაპ.**

იყიდება ხელის მოწერით ამ თვის დამლევამდე პროვინციაში ჟურნალ-გაზეთების აგენტებთან და ტფილ. წ. კ. საზოგ. მაღაზიაში და „სორაპნის" აქ ნაგობაში. (3—უ.—1)

**წ.-კითხვის საზოგადოების**

გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვისაც წაღებული აქვს ფულის შესაგროვებლად „საზოგადოების"

**უ უ ლ ა ბ ე ბ ი**

აუცილებლად დააბრუნოს ამა წლის მაისის პირველამდის. (5—უ.—1)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)


## ტფილისი, 21 მარტი

ხვალ, 22 მარტს, მოხდება საზოგადო კრება სამეურნეო ბანკის წევრთა. ჩვენ უკვე რამდენიმე წერილი ვუძღვენით ამ ბანკის საქმეებს და აქ დაწვრილებით აღარ გავიმეორებთ ჩვენ შენიშვნებსა ამ დაწესებულების დღევანდელ მდგომარეობაზე და ჩვენს მოსაზრებას მის მომავალზე. ვიტყვით მხოლოდ, რომ დროა ერთხელ და სამუდამოთ გამოირკვეს და გადაწყდეს საკითხი: დარჩება ეს ბანკი უბრალო საურთიერთო ნდობის საკრედიტო საზოგადოებად თუ მართლა სამეურნეო ბანკად იქნება ქცეული? ეს საკითხი მით უფრო საჭიროებს გადაჭრილ პასუხს, რომ ყოველ წელს, ყოველ საზოგადო კრების წინ და თვით კრებაზედაც იწვევს დაუსრულებელ ლაპარაკს. გადაჭრილი პასუხი მოსპობს ამ ლაპარაკს, რაც სასარგებლო იქნება როგორც ბანკისათვის, ისე ქართველ საზოგადოებისათვის: ბანკისთვის, საზოგადოთ საკრედიტო დაწესებულისთვის, რომელიც ნდობაზეა დამყარებული, მავნებელია დაუსრულებელი მითქმა-მოთქმა მის გადაკეთებისა და გადმოკეთების შესახებ, ხოლო ქართველი საზოგადოება, რაკი ეტყობინება, რომ ეს ბანკი მიმართულებას არ შეიცვლის, ეცდება სხვა გზით დაკმაყოფილოს მომწიფებული მოთხოვნილება. ამიტომაა სასარგებლო ორთავე მხარისათვის, რომ უკვე კარგა ხნის საკითხი სერიოზულად იქმნას დაყენებული და გადაწყვეტილი.

რასაკვირველია ეს არ მოხერხდება საზოგადო კრებაზე. ტყუილად დროს დაკარგვა იქნება ას და ორას კაცისაგან შემდგარს კრებაზე, მერე წელს, როცა ბევრი საარჩევნო აგიტაციით არის გატაცებული და მხოლოდ კენჭის ჩასაგდებად მოვა, ლაპარაკი გაიბას საკრედიტო დაწესებულებათა ტიპებზე, ამა თუ იმ მიმართულების ღირსება-ნაკლულევანებაზე. უმჯობესი იქნება კრებამ კარგი და დიდი კომისია შეარჩიოს და ერთის წლის ვადა მისცეს საფუძვლიანად საქმის შესასწავლად და საკითხის გამოსარკვევად. გვეტყვიან, ასეთი კომისია ერთხელ კიდეც იქნა არჩეული, მაგრამ არა გამოვიდა-რა. მაგრამ, მაშინდელი ამბავი სათვალავში ჩასაგდები არაა: მაშინ თვით საზოგადოებასაც ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა იმაზე, თუ რა ჰსურს სახელდობრ, რას მოითხოვს ბანკისაგან; მეორეც ის გარემოებაა აღსანიშნავი, რომ მცირე რიცხოვანი კომისია სრულებით დამოკიდებული იყო გამგეობისა და საბჭოსაგან, რომელნიც ყოველ რეფორმის წინააღმდეგნი იყვნენ. ეხლა საქმე ასე აღარ არის: საზოგადოებას უფრო გარკვეული წარმოდგენა აქვს თანამედროვე საკრედიტო საჭიროებაზე ჩვენის ქვეყნისათვის; კომისიაც ისეთ პირობებში უნდა ჩააყენოს, რომ თავისუფალი იქმნეს, დამოუკიდებელი ბანკის ორგანოთაგან, უკანასკნელთ მხოლოდ რჩევის ხმა უნდა ექმნეთ და არა გადამწყვეტი.

კომისიის მთავარი მოვალეობა იქნება გამოარკვიოს—შეიძლება და სასურველია თუ არა დღევანდელს პირობებში სამეურნეო ბანკი გადაიქცეს სასოფლო საკრედიტო კოოპერაციების ცენტრალურ ბანკად და ხელმძღვანელად და თუ შეიძლება, როგორი გეგმა და წესდებაა ამისთვის საჭირო, რა ღონისძიებებია მისაღები სოფლად და როგორის თანდათანობით უნდა მოხდეს თვით ბანკის რეფორმა. ჩვენთვის ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენებურ სოფელს დღეს ეკონომიური შეკავშირება სჭირია სამეურნეო კულტურის განსავითარებლად, რომ უამისოდ ჩვენი ხალხის ეკონომიური კეთილდღეობა საშინლად დაქვეითდება და ერი კიდევ უფრო დასუსტდება; ჩვენ ვიცით ამასთანავე, რომ განათლებულ ქვეყნებში რიგიანად და მიზნის შესაფერისად მოწყობილმა კრედიტმა ხელი შეუწყო კოოპერაციულს მოძრაობას, ხოლო ამ უკანასკნელმა ღირსეულ სიმაღლეზე ასწია სამეურნეო ტეხნიკა და გაამდიდრა ხალხი. ეს გარემოებანი უნდა გაითვალისწინოს კომისიამ, შეისწავლოს საკითხი ყოველ მხრივ და დასაბუთებული მოხსენება წარუდგინოს მომავალ წლის საზოგადო კრებას. შესაძლებელია გამოირკვას, რომ ტფ. სამეურნეო ბანკს, რომელიც უკვე მკვიდრათ სდგას, როგორც საურთიერთო ნდობის ჩვეულებრივი საზოგადოება, არ შეუძლია გადაკეთდეს და ახალი მიმართულება შეითვისოს, ახალი ფუნქციები იკისროს. ამ შემთხვევაშიაც, ვიმეორებთ, კომისიის შრომა უნაყოფო არ იქნება: ამ ბანკს მოვასვენებთ ყოველ წელს დაყენებულ პრეტენზიების წარდგენისაგან და ვიფიქროთ ახალ საკრედიტო დაწესებულების დაარსებაზე, რომელიც გაუძღვება ჩვენის სოფლისათვის ფრიად დიდმნიშვნელოვან საქმეს.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 მარტი

### ბ ა ლ კ ა ნ ე თ ი.

**ბელგრადი.** გუშინ, 18 მარტს ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩმა ფორგახმა სავაჭრო ხელშეკრულობის შესახებ ხელმეორედ გამართა მოლაპარაკება სერბიის მინისტრ მილოვანოვიჩთან. მოლაპარაკება უშედეგოდ გათავდა. ამიტომ სერბიასა და ავსტრო-ჰუნგრეთს შორის არავითარი სავაჭრო ხელშეკრულობა არ იქნება.

სკუპშჩინის 102 წევრმა მინისტრთა საბჭოს პეტიცია გადასცა. პეტიციაში დეპუტატები სთხოვენ მინისტრებს, დარჩნენ თავიანთ ადგილებზე და შინაური მდგომარეობა განამტკიცონ. ხმა დადის, რომ სკუპშჩინა მომავალ კვირაში დაიშლებაო. მინისტრ-პრეზიდენტმა გადაჭრით განაცხადა, ტყუილია ავსტრიის პრესსის მიერ გავრცელებული ხმები, ვითომ კარაგეორგიევიჩების (სერბიის სამეფო გვარი) დინასტიას განზრახული ჰქონდეს სერბიის ტახტზე უარი განაცხადოს, ვითომ სერბიის ეხლანდელ მეფეს პეტრეს ინგლისის და რუსეთის ელჩებისთვის უკვე ეცნობებინოს თავისი სურვილი და რომ ინგლისს, რუსეთს და სერბიას უკვე მოლაპარაკება გაემართოთ ამის შესახებ.

**ვენა.** „კორესპონდენტ — ბიუროს" ბელგრადიდან ატყობინებენ: სერბიის მთავრობას ავსტრიის ელჩმა ფორგახმა გადასცა თავის მთავრობის საპასუხო ნოტა. ნოტაში ნათქვამია, ავსტრია კმაყოფილია სერბიის განცხადებით და რომ ეხლავე შეიძლება სავაჭრო ხელშეკრულობის შემუშავებას შეუდგეთო.

### ს პ ა რ ს ე თ ი

**თავრიზი.** 19 მარტს რუსეთის კონსული პოხიტონოვი პეტერბურგს წავიდა. რადგან ხმა იყო, სადამოუნო ვაგონში რახიმ-ხანისთვის პატრონებიაო, ენჯუმენის წევრებმა სამი საათით გაჩერეს საქონლის ვაგონი და გაჩხრიკეს. გაჩხრეკამ უნაყოფოდ ჩაიარა. ენჯუმენის წევრებმა ბოდიში მოიხადეს. თუმცა უცხოეთის კონსულებმა პროტესტი განაცხადეს ფურგუნების გასინჯვაზე, მაგრამ მაინც ენჯუმენის წევრებმა ყველა ფურგუნი გასინჯეს.

### ო ს მ ა ლ ე თ ი

**სტამბოლი.** 17 მარტის არეულობა (ზუავების პატალიონების არეულობა) ილდიზკიოსკში სერიოზულის ხასიათისა იყო. მთავრობამ მოლაპარაკებით რომ ვერა გააწყო რა, დაემუქრა, ზარბაზნებს დაუშენთ ყაზარმებსაო, რამაც იმოქმედა და არეულობა ჩაქრა. ილდისკიოსკიდან (სულთნის სასახლიდან) სხვაგან გადიყვანეს იმ ორ ბატალიონს, რომელიც არეულობაში მონაწილეობას იღებდა.

### საზღვარ-გარედ.

**ლვოვი.** გალიციის ნამესტნიკის გრაფ პოტოცკის მკვლელის სიჩინსკის საქმის გარჩევა, ვექილების თხოვნით, სასამართლომ სხვა დროისთვის გადასდო.

**რომი.** დეპუტატთა პალატა. რესპუბლიკანელმა მაკაჯიმ განაცხადა, რომ მთავრობა კათოლიკებთან ერთად მუშაობს და ამით თავისუფლებას ხიფათი მოელისო. მაკაჯის სიტყვამ აურ-ზაური გამოიწვია. პალატის სხდომა შესწყდა. სხდომის განახლების შემდეგ მინისტრ-პრეზიდენტმა პირველად სცნო, რომ ჯარში ახალგაზრდები ორ წელიწადს რჩებოდნენ და განაცხადა, მთავრობა ამ მოკლე ხანში სოციალურ რეფორმების დანარჩენ პროექტებსაც წარმოადგენსო. დეპუტატმა ჯიოლეტიმ ეკლესიის და სახელმწიფო დამოკიდებულებათა შესახებ სთქვა, რომ სახელმწიფო ეკლესიისაგან დამოუკიდებელი უნდა იყოს და სინიდისის შეულახველი თავისუფლება უნდა იქმნეს აღიარებულიო. პალატამ (270 ხმით, წინააღმდეგ 74 ხმისა) მთავრობას ნდობა გამოუცხადა და სეფე-სიტყვის საპასუხო ადრესი მიიღო.

**მიუნხენი.** ფრიდრიხსჰაფენში გრაფ ცეპელინმა თავისი ჰაეროსტატი აუშვა და ქალაქისკენ გაემართა. ცეპელინს უნდოდა სამხედრო მინდორზე ჩამოშვებულიყო, მაგრამ ამაოდ. ძლიერმა ქარმა ცეპელინი თავის ჰაეროსტატით ობერფეს ინგისკენ გაიტაცა.

**ლანდსჰუტი.** ცეპელინის ჰაეროსტატმა ქალაქზე გადაიარა ქარმა იგი დინგოლფინგისკენ წაიღო. შუადღის 3 საათსა და 5 წუთს ცეპელინი მშვიდობიანად დაეშვა დინგოლფინგის მახლობლად.

**პარიზი**. საფრანგეთის აკადემიის წევრებად ამოირჩიეს რენე დუმიკი და მგოსანი ც...არი.

**ქაირი**. ნაციონალისტთა პარტიის წევრებმა დემონსტრაცია გამართეს. დემონსტრაცია გამოიწვია ბეჭდვითი სიტყვის ახალმა კანონმა. მანიფესტანტებმა მივიდნენ ქედივის სასახლესთან სადაც რამდენიმე სიტყვა წარმოსთქვეს. ორატორები თხოულობდნენ, დაცულ იქმნეს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას.

**მარსელი**. გემ „ჟიულ-ანრსე", რომელიც ნავთით დატვირთული მოვიდა ფილადელფიიდან აფეთქება მოხდა. მოკვდა ექვსი, მძიმედ დაშავდა ათი მუშა.

### რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი**. დაადგინეს, 1909 წლის 29 სექტემბრამდე გაგრძელდეს გაძლიერებულ დაცვის წესები ვიტებსკისა, რეჟიცკისა და ლიუცინის მაზრებში.

ოლქის სასამართლო ორი დღეს მოუნდა [სამსახურს გარეშე მყოფ გენერალ-მაიორ ილოვაისკისა და იახონტოვის საქმის გარჩევას. ამათ ჰბრალდებოდათ სიყალბის ჩადენა და სხვის მამულის გაყიდვა. სასამართლომ ილოვაისკი დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა რვა თვით პატიმართა განყოფილებაში გაგზავნა, ხოლო იახონტოვი და სტეფანოვი გაამართლა. ვექილებმა სთხოვეს სასამართლოს, იშუამდგომლოს უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ილოვაისკის სასჯელი ეპატიოს.

**ნოვ-გოროდი**. ექიმ ლებედევს, რომელიც პეტერბურგიდან ჩამოვიდა, ცოლმა ორჯელ რევოლვერი ესროლა და მოჰკლა.

**ტომაშევი**. ვერაგულად დაჰხოცეს ზილბერმანის ოჯახობა: თვით ზილბერმანი, ცოლი და ხუთი შვილი.

**ვარშავა**. სკორნევიცკის ქუჩაზე ხუთი მცარცველი თავს დაეცა ებრაელთა სამკურნალოს ზედამხედველს, რომელსაც 5500 მანეთი მოჰქონდა. მცარცველებმა ზედამხედველი დასჭრეს, გადმოათრიეს ეტლიდან და ფული გამოჰგლიჯეს, მაგრამ მეეტლემ გააქანა ცხენები და სწრაფლ აცნობა პოლიციას, რომელმაც ორი მცარცველი შეიპყრო და ერთი მძიმედ დასჭრა. გატაცებულ ფულის ნახევარი უკანვე დაუბრუნეს ზედამხედველს.

**გროზნი**. დღისით სამხედრო ექიმს განჟინსკის სახლში შეუვარდა მცარცველი. განჟინსკის უნდოდა შეეპყრო, მაგრამ მცარცველი გაიქცა. განჟინსკიმ რევოლვერი ესროლა და სასიკვდილოდ დასჭრა იგი. დაჭრილი საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ მალე გარდაიცვალა.

## სახელმწიფო სათათბირო

**სამხედრო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა.**

19 მარტს სხდომაზე ორიოდე უმნიშვნელო კანონ-პროექტის მიღების შემდეგ სათათბირო შეუდგა სამხედრო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

**მომხსენებელმა გუჩკოვმა** (ოქტომბრისტი) სთქვა: მესამე სათათბირო არავითარ ფულს არ იშურებდა სამხედრო საქმეებისთვის. ეხლაც მცირეოდენის ცვლილებით სათათბირომ მიიღო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა. სულ წელს სამხედრო სამინისტროსთვის გადადებულია ექვსას მილიონზე მეტი (613,625,793, მანეთი). მიუხედავად ამ უზომო ფულისა, ჩვენი სახელმწიფოს დაცვის საქმე ვერ არის სასურველად მოწყობილი. სათათბირომ თავისი ვალი აასრულა. ეხლა მთავრობაზეა, უკეთ სამხედრო უწყებაზეა დამოკიდებული, აასრულებს თუ არა ისიც თავის მოვალეობას. გამოიყენა თუ არა მან ის დრო, რაც იაპონიის ომის შემდეგ გავიდა? ისარგებლა თუ არა იმ გაკვეთილებით, რომელიც ამ ომმა მოგვცა? გადასწყვიტა თუ არა სამინისტრომ ძირითად რეფორმების მოხდენა? ამაზე პასუხს, ეჭვი არ არის, ახალი სამხედრო მინისტრი მოგვცემს. ჩვენ წინ დიდი ნაციონალური საქმეა. ამიტომ წვრილმანად უნდა ჩაითვალოს მეცადინეობა ძველი რეჟიმის მომხრეებისა, რომელთაც განუწყვეტელი კამათი აქვთ ხელმწიფის უფლებებზე (ტაში ცენტრში, სტვენა მარჯვნივ). ჩვენთვის ადვილი გასაგებია იმათი სულის კვეთება, რომელნიც სცხოვრობდნენ და იკვებებოდნენ მთავრობისა და ხალხის ბრძოლის გარშემო: ამათ უნდათ, კვლავ ჩამოაგდონ შფოთი და ბრძოლა. იმედი ვიქონიოთ, რომ მათი სურვილი არ ასრულდება.

**სამხედრო მინისტრის** წარმომადგენელმა გააცნო სამინისტროს ის, თუ რა ცვლილებისა და რეფორმების შემოღება აქვს განზრახული სამინისტროს. სამინისტრო ჰხედავსო, სთქვა მან, სამხედრო საქმის დაქვეითებას და კიდეც განიზრახა მისი სრული რეორგანიზაცია. ორატორის სიტყვით, განზრახულია სრული რეორგანიზაცია სამხედრო უწყებისა. ამ საქმეს კიდეც შესდგომიან და შესაფერ მოხსენებებს მალე წარუდგენენ სათათბიროს.

**ბოიანსკიმაც** (კადეტი) საჭიროდ სცნო რუსეთის ძლიერებისთვის სამხედრო რეფორმები. სხვათა შორის, ორატორმა საჭიროდ სცნო სამხედრო და სამოქალაქო საქმეების განცალკევება. ჯარი პოლიტიკას უნდა ჩამოაშოროთ და საპოლიციო საქმეები თავიდან აალდინოთ. გააძლიერეთ რამდენიც გინდათ პოლიცია, მხოლოდ ჯარს სამხედრო საქმის მეტს ნურაფერს გააკეთებინებთ. ის მეომარნი, რომელნიც პოლიტიკაში ერევიან, რომელნიც თავიანთ საქმეს არ აკეთებენ—ეს მეომარნი ჯარისთვის აღარ გამოდგებიან.

**პურიშკევიჩმა** სათათბიროს უმრავლესობას გადააბრალა ის შერცხვენა, რომელიც ამ ბოლო დროს რუსეთმა საგარეო საქმეში განიცადა. ეს უმრავლესობა მთელი ქვეყნის წინაშე გაიძახოდა, რუსეთი სუსტია, ჯარი არ უვარგაო. არა, ბატონებო, ჩვენი ჯარი ძლიერია არავითარი რეფორმა არ არის საჭირო. ჯარისთვის საჭიროა მხოლოდ ძველი პატრიოტიზმი და არა ბამბისმრეწველთა პატრიოტიზმი.

**გრაფმა ბობრინსკიმ** (ზომიერი მემარჯვენე) სთქვა: ეხლა მეტი სინანული და დარდი იმაზე, რაც მოხდა, ჩვენ ეხლა უნდა მზადებას შეუდგეთ, დიდ ხანს უნდა ვემზადნეთ. ეს უნდა იყოს ჩვენი პასუხი ჩვენის მტრებისა და მოყვრებისთვის. დეე, ჩვენმა ძმებმა სერბებმა და სხვებმა იცოდნენ, რომ ვემზადებით და ვმუშაობთ. ღმერთი ინებებს და მომავალში პასუხს გავცემთ ჩვენ მტრებს.

კრეპენსკიმ და სოკოლოვმა მხარი დაუჭირეს გუჩკოვს.

**ჩხეიძე**. მილიტარიზმი კაპიტალისტურ სახელმწიფოს შვილია. ჩვენ, სოც.—დემოკრატები, მთელის ჩვენის ძალღონით ვებრძვით თქვენს ინტერესებს; თქვენ სახელმწიფოს მტრებადა გვთვლით და ბრძოლისთვის გვ ძლევთ პასუხს. აი ამ ბრძოლისთვის საჭიროა თქვენთვის ჯარი. ჩვენ უარსა-ვყოფთ ყოველგვარ ჯარს. ხალხთან ბრძოლაში თქვენ და თქვენმა მთავრობამ, სამწუხაროდ, გაიმარჯვეთ, მაგრამ ეს გამარჯვება ხანგრძლივი არ იქნება. ხალხსა სძულხართ და ვიდრე თქვენმა საზღვარ-გარეთელმა მეზობლებმა იციან, რომ თქვენ ხალხი არ გიჭერთ მხარს, მანამდე ისინი თქვენი მბრძანებელნი იქნებიან. რუსეთის სახელსა და დიდებას შეჰქმნის მხოლოდ ხალხის გამარჯვება თქვენზე და მთავრობაზე. ჩვენ, სოც.-დემოკრატებს, სამარცხვინოდ მიგვაჩნია იმ ფულის გადადება, რომელიც მთავრობას უნდა მიეცეს.

**ზვეგინცევმა** (ოქტომბრისტი) მხარი დაუჭირა გუჩკოვს. თავის სიტყვის ბოლოში იგი ჩხეიძეს შეეხო და სთქვა: კავკასიელმა დეპუტატმა ჯარი უარ ჰყო. მან მთელის რუსის ხალხის სახელით ილაპარაკა. ნება მიბოძეთ განვაცხადო, რომ ეს დეპუტატი ცილსა სწამებს რუსის ხალხს.

**მარკოვმა მეორემ** (მემარჯვენე) სთქვა: ოქტომბრისტებმა სახელის მოსახვეჭად ჩვენი ჯარის იარები გამოაქვეყნეს და ამით ჯარი საქვეყნოდ შეარცხვინეს. გუჩკოვს მეტად დიდი სახელი აქვს ჩვენს ინტელიგენციაში. ახალგაზდა ოსმალებსაც დიდი სახელი აქვთ, მაგრამ მე თაყვანს როდი ვცემ მათ, რადგან ახალგაზდა ოსმალები წარმოადგენენ მცირე ჯგუფს კარიერისტებისას, რომლებმაც ფიცი გატეხეს. ყოველი ახალი გზა როდია კარგი. იქნება თქვენ გინდოდეთ, ჩვენი, ჯარი იმავე გზაზე დააყენოთ, რომელზედაც დგას საფრანგეთის ჯარი და რომელმაც ნაპოლეონის ძლევამოსილი ჯარი ისეთ დამცირებამდე მიიყვანა, რომ მას ანგარიშს აღარავინ უწევს (ძლიერი ხმაურობა ცენტრში და მარცხნივ, რახუნი და ძახილი: „სირცხვილი, კმარა, რად შეურაცხყოფ") ხმაურობა წყნარდება.

**თავმჯდომარე.** სათათბიროს წევრო მარკოვო. თქვენ შეურაცხყოფა მიაყენეთ საფრანგეთის ჯარს. მე მესმის სათათბიროს გულისწყრომა (ისმის: გააგდეთ მარკოვი) გიცხადებთ შენიშვნას (ცენტრში იძახიან: „ვაშა", ძლიერი ტაშისცემაა).

**მარკოვი.** მე არ მიმიყენებია შეურაცხყოფა საფრანგეთის კეთილშობილ ჯარისთვის, მე მხოლოდ გავიმეორე ის სიტყვა, რომელიც აქ რუსის ჯარის შესახებ სთქვეს. (იძახიან: „ეს არავის უთქვამს, არასოდეს". ძლიერი ხმაურობაა).

**თავმჯდომარე**: სათათბიროს წევრო მარკოვო! გთხოვთ ნუ ლაპარაკობთ იმაზე, რაც არა ყოფილა.

**პურიშკევიჩი** (ადგილიდან): არა, იყო!

**თავმჯდომარე**: სიტყვას ნუ მიბრუნებთ.

**პურიშკევიჩი** (ადგილიდან): ჩვენ გავიგონეთ, აბა სტენოგრამა ნახეთ.

**მარკოვი**: დიახ.

**თავმჯდომარე.** აქ რომ ვისმე გინდ ნახევარ სიტყვით შეურაცხყოფა მიეყენებინა რუსეთის ჯარისთვის, იგი აღარ დაბრუნდებოდა ამ დარბაზში (ძლიერი ტაშისცემა ცენტრში და მარჯვნივ).

**მარკოვი**: ტაშის დაკვრით თქვენ ვერ შესცვლით იმას, რაც იყო. რუსის ჯარი უნდა დაადგეს გაარისტოკრატების ძველს გზას, ხოლო თქვენი ახალი გზა მიგვიყვანს ახალგაზდა ოსმალეთამდე და სახელმწიფო ღალატამდე. ეს ახალი, მაგრამ წყეული გზაა.

4 საათ. 10 წ. სხდომა შესწყდა. და 4 ს. 40 წ. ხელ-ახლად დაიწყო.

გუჩკოვმა სთქვა: აქ ვიღაცას ბრძანებით სათათბიროზე მოიტანეს იერიში. პურიშკევიჩმა ის ბრალი დაგვდო, რომ ჩვენ რუსის ჯარის ნაკლი არ დავმალეთ და უნიჭო სარდლები აშკარად დავასახელეთ. პურიშკევიჩი ამბობს, რომ საჭიროა რწმენა ჯარისადმი, ხოლო თქვენ ამხობთ ამ რწმენას და ხალხს ურწმუნოებას უნერგავთო, მაგრამ ცრუ რწმენა უარესია ურწმუნოებაზე. აი ამ ცრუ რწმენას ჩვენ ყველგან დავამხობთ, სადაც აღმოვაჩენთ და ბრძოლას დავუწყებთ იმათ, ვინც ამაგრებს ამ ცრუ რწმენას (ძლიერი ტაშის ცემა). პურიშკევიჩმა სთქვა: ჯარი არ გაჰყვება გუჩკოვსაო; რასაკვირველია, არ გაჰყვება, რადგან თითონ გუჩკოვი გაჰყვება იმ ჯარსა, როდესაც ომი დაიქუხებსო.

სათათბირომ მიიღო სამხედრო-სამინისტროს [ხჯ]ა და სხვა დაწესებულების ხარჯთ-აღრიცხვანი.

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **წ.-კითხვის საზოგადოების განყოფილება.** გუშინ, 20 მარტს, წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ მიიღო პასუხი ქუთაისის [...] საზოგადოებათა საქმის [...]საგან, [...]ბას, წინააღმდეგი არა გვაქვს, რომ ჭიათურაში დაარსდეს წ.-კ. საზოგადოების განყოფილება.

✦ **წ.-კითხვის საზოგადოების სკოლა და სამკითხველო.** მოხევეების სოფ. გერგეთის მცხოვრებლების წარმომადგენლებმა ამას წინად შუამდგომლობა აღძრეს წერა-კითხვის საზოგადოების წინაშე—სკოლა დაგვიარსეთო. გამგეობამ 19 მარტს განიხილა ეს შუამდგომლობა და დაადგინა, დაარსოს გერგეთში სკოლა ამ წლის 1 ოქტომბერს. ამავე სხდომაზე გამგეობამ დაადგინა, ზუგდიდში გახსნას საჯარო ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

✦ **გოგოლის დღესასწაული.** ხვალ, 21 მარტს, ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის მეთაურობით გაიმართება ნ. გოგოლის დღესასწაული შემდეგის პროგრამით: აბრამოვი წაიკითხავს ბიოგრაფიას ნ. გოგოლისას; ნ. ე. ერმოლოევი წაიკითხავს ლექციას გოგოლის მნიშვნელობის შესახებ, შემდეგ წარმოადგენენ და წაიკითხავენ სცენებს მწერლის ნაწარმოებიდან და სხვა. დღესასწაული დილის 11 საათზე დაიწყება.

✦ **ახალი წესი.** ტფ. სახაზინო პალატამ ამ დღეებში აცნობა წ.-კ. საზოგადოების მთავარ გამგეობას, რომ ამიერიდან სახელმწიფო გადასახადებთან ერთად აღარ მოიკრიფება და ხაზინაში არ შეიტანება იმ სკოლების შესანახი ფული, რომელნიც სახალხო განათლების უწყებას არ ექვემდებარებიანო.

✦ **სომხების დაპატიმრება.** ადმინისტრაციის განკარგულებით, ამ ორი დღის წინად გაჩხრიკეს და დააპატიმრეს ინჟენერ — ტეხნოლოგი ბეგლარ დანიელიანცი, ფოტოგრაფი ლეონ ტერ-გრიგორიანცი და მხატვარი არსენ ტერ გრიგორიანცი. ამ გვარადვე იგდირში დაუპატიმრებიათ 16 კაცი. როგორც უკვე ვწერდით, უკანასკნელ ორი-სამი თვის განმავლობაში კავკასიის სხვა და სხვა ქალაქში სომხის მრავალი ინტელიგენტი დააპატიმრეს. როგორც ხმა დადის, დაპატიმრებულთ ჰბრალდებათ „დაშნაკციუტუნის" პარტიის წევრობა.

## ფელეტონი

### პატრი მიხეილ თამარაშვილი და მისი ახალი თხზულება

პატრი მიხეილ თამარაშვილი ცნობილია ქართველთა შორის. მისი შესანიშნავი თხზულება „ისტორია კათოლიკობისა საქართველოში" თითქმის ყველა ქართველმა ინტელიგენტმა იცის. უცნობი არ არის აგრეთვე მისი მეორე წიგნი „პასუხად სომხის მწერლებს", სადაც იგი დოკუმენტებით ხელში სრულიად აქარწყლებს სომეხთა პრეტენზიებს ქართველ-კათოლიკეთა შესახებ. ბ-ნმა ზაქარია ჭიჭინაძემ პატარა ბიოგრაფიაც კი დასწერა პ. მ. თამარაშვილისა, რომლის საყურადღებო ცხოვრებასაც იგი აღწერს და აგრეთვე ახასიათებს მის საინტერესო პიროვნებას. ყოველივე ეს, მგონი, უნდა იცოდეს ჩვენმა საზოგადოებამ.

მაგრამ პატრი მ. თამარაშვილი ისეთი კაცი არ არის, რომ შუაგზაზედ მიატოვოს ერთხელვე დაწყებული შრომა და უდროოდ შეაკვეცოს ფრთები თავის ნიჭსა, როგორც ხშირად ვხედავთ ხოლმე მსგავს მოვლენებს ქართველთა შორის. იგი უკვე მიჩვეულია ევროპიულ შრომას, და რაც დრო მიდის, რაც უფრო მეტს გამოცდილებასა და გაუმჯობესებულ შრომის მეთოდებს ითვისებს, მით უფრო იზრდება მისი შრომის ინტენსივობა და ნაყოფიერება, მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე ორმოცდაათის წლის კაცია.

გულ ნატკენმა შემომჩივლა, მთელი იტალია და საფრანგეთი შემოვიარე და აუარებელი ფული და დრო დავხარჯე ქართულ ისტორიის კვლევაში. თუ სადმე ხელი მიმიწვდებოდა, ყველგან მოვჩხრიკე და ვეძიე, და მართლაც ისეთი დოკუმენტები აღმოვაჩინე საქართველოს წარსულის შესახებ, მისიონერთა მიერ დატოვებული, რომ საქართველოშიაც არ მოინახება მსგავსის ღირსებისაო. პირადი კეთილდღეობაც კი უარვყავი—ერთ დიდ ეკლესიაში ადგილს მაძლევდნენ, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან დრო აღარ დამრჩებოდა ჩემის საყვარელ საგნის—საქართველოს ისტორიის შესასწავლადაო. ეხლა რითაც ვცხოვრობ—სათქმელიც არ არის. და დახეთ, ყველა ამის ნაცვლად არავითარი დახმარება არ მიმიღია ქართულ საზოგადოებისაგან; ის კი არა, ხანდახან ფრიად საჭირო წერილზედ პასუხსაც არ მაძლევენო.

პატრი მიხეილ თამარაშვილს ერთი მართლაც უბრალო ჭეშმარიტი აზრი აქვს: ის, რომ ერთ დროს საქართველოს ევროპიელები ძლიერ კარგად იცნობდნენ, გამართული იყო მიწერ-მოწერა პაპებსა და ჩვენ მეფეთა და მთავართა შორის, იყო მუდმივი მისვლა-მოსვლა საქართველოსა და ევროპას შუა, იყო მუდმივი კულტურული და კერძოდ სარწმუნოებრივი ერთობაც. შემდეგ, როცა ოსმალო ჩამოგვიდგა წინ და მოგვწყვიტა ევროპას, რასაკვირველია, მას ჩვენი ხსოვნა თანდათან ეშლებოდა მეხსიერებიდან; მას შემდეგ კი, რაც პოლიტიკური დამოუკიდებლობა დავკარგეთ, ხომ სულ დავავიწყდით. ეხლა აღარც კი იციან, თუ ვინ არის ქართველი, ან სად იმყოფება საქართველო. მართალიც არის ყოველივე ესე; და ალბად ყველა ჩვენგანს ჰქონია შემთხვევა ევროპაში მოგზაურობის დროს თვალით ენახა ისეთი უმეცრება ევროპ[ელ]თა ჩვენს შესახებ, რომ ევროპიელს კი არა, ჩინელსაც არ ეპატიება. ერთხელ ერთმა ფრანგის მწერალმა პირდაპირ მითხრა—მე კი ვიცი საქართველო რაც არის, ვინც არიან ქართველები, რა მდგომარეობაშიაც არიან, როგორიც არის ქართველთა და სომეხთა შორის განწყობილება, როგორიც არის თქვენი უფლებანი, თქვენი მომავალი, მაგრამ, სამაგიეროდ, ათიათასმა სხვამ სრულიად არა იცის-რა. ამისათვის საჭიროა **იყვიროთ**, სომხები რო ყვირიან, კიდევ უფრო მაღლა უნდა **იყვიროთო**. როცა მე ვუთხარი—ყვირილი საკადრისი არ არის მეთქი, გაიცინა და სთქვა—ეხლა მაგ თავმოყვარეობას ადგილი აღარა აქვს, იყვირეთ, იყვირეთ, ბევრი იყვირეთო, და რაც უფრო საზიზღარი რამე ჰხდება, სწორედ იმაზედ უფრო მეტი იყვირეთო!.. ეს კიდევ რა. ის ფრანგის მწერალი იმიტომ ამბობს ასეთს რამეებს, რომ აღმოსავლეთში სცხოვრობს და მისი სპეციალური საგანია ოსმალეთის ხალხთა შესწავლა—სომეხთა, ლაზთა, ალბანელთა, მაკედონელთა და სხვათა, მხოლოდ ამიტომ. თორემ ევროპაში მცხოვრებმა მეცნიერებმაც არა იციან რა ჩვენზედ. ყველამ უწყის, რომ უდიდესი გეოგრაფი ელიზე რეკლიუ ისეთს რამეებსა სწერდა ჩვენზედ როგორც თავის „გეოგრაფიაში", ისე ახალ „ისტორიაში" (L'Homme et la Terre), რომ ღმერთმა მალლსაც ნუ ატიტინოს მსგავსი რამ. გუშინ კიდევ შემთხვევით ერთ ამხანაგს ფრიად საინტერესო წიგნი გამოვართვი—Les Migrations des peuples — კუფალვი-დე-მეზო-კოვე'დი-სა. მართალია, წიგნი 1873 წელს არის გამოცემული, მაგრამ ეს ხანა არც ისეთი ძველია, რომ უმეცრება ნებადართული ყოფილიყოს. მართალია, არც მწერალია ფრიად ცნობილი, მაგრამ მეტის-მეტი შეუსაბამობანი მაინც არ უნდა როშოს ისეთმა ადამიანმა, რომელსაც აზრად გაუხდია „ხალხთა მოძრაობის" აღწერა: თავის წიგნის მე-160 გვერდზედ ეს მწერალი პირდაპირ ამბობს, რომ თუბალთაგან და მესხთაგან დღეს კვალიც არ დარჩენილაო. მესხები სცხოვრობდნენ არარატის მთასა და მდინარე თბილისის შუა, სადაც ეხლაც არის შესანიშნავი მონასტერიო!.. მოდი და გაიგე რამე ასეთის მეცნიერისაგან! კიდევ რამდენს შეხვდებით დიდსა და პატარა მეცნიერს, რომელნიც ჩვენს შესახებ ისეთს რამეებსა სწერენ, რომ ადამიანს ბრაზიც მოსდის და უკვირს კიდეც, საიდან მოიგონეს ასეთი სიცრუენი ან სიყალბენი. თანაც ამბობ ადამიანი—თუ სხვებზედაც, ჩვენს მსგავს ხალხებზედ, ასეთი რამეები აქვთ დაწერილი ამ მეცნიერებს, მოდი და ენდე მათ მეცნიერებასა, მოდი და რაიმე წარმოდგენა იქონიე ამ სხვა ხალხებზედ მათის ნაწერების კითხვით!

ამიტომაც გადასწყვიტა პატრმა მიხეილმა დ[ა]ეწერა ფრანგულ ენაზედ „საქართველოს ეკლესიის ისტორია", რომ გაეცნო ევროპიელისათვის ჩვენი წარსული კულტურა. რასაკვირველია, საზოგადო ისტორია რომ დაეწერა, უფრო დიდი მნიშვნელობა ექმნებოდა იმის თხუზლებას, მაგრამ ჯერ-ერთი პატრი მიხეილი მღვდელია, მისი სპეციალობა საეკლესიო ისტორიაა, მეორე კიდევ, პატრი მიხეილის სასახელოდ, მისი თხუზულება მარტო საეკლესიო არ არის, იგი მთელი ქართველი ერის ისტორიაა ქრისტეს დაჰბადებამდის უძველეს დროიდან ჩვენ დრომდე, სადაც, რასაკვირველია, საეკლესიო მხარეს დიდ ყურადღებას აქცევს ავტორი, თუმცა თითქმის იმდენსავე პოლიტიკურსაცა და საზოგადოდ სამოქალაქოსა; ამას გარდა, უმთავრესი ღირსება წიგნისა ის არის, რომ იგი ჩვენთვის სრულიად უცნობ დოკუმენტებზეა დამყარებული, მშვენიერის სურათებითა და ილლიუსტრაციებით შემკული. აგრეთვე იქ მოთავსებული იქნება უძველესი რუკები, მაჩვენებელი ქართველ ტომის მიერ პყრობილ ადგილთა. ეს კიდევ რა, პატრ მიხეილს სადღაც სიცილიის ერთ ძველ მონასტერში ძველი სურათებიც კი უპოვნია, მისსიონერების მიერ დახატული, — სურათები სამეგრელოს ცხოვრებისა, სამეგრელოს დიდ-კაცთა და მთავართა, ქართულის წარწერებითა. ერთის სიტყვით ევროპიელი დაახლოვებით სრულ წარმოდგენას იქონიებს **საქართველოზედ**, რომ პატრ მიხეილს ეღირსებოდეს ამ წიგნის გამოცემა, რომელიც თოთხმეტი თავისაგან შესდგება და ათასს გვერდზედ მეტია.

აი თვით წიგნის შინაარსი.

**საქართველოს ეკლესია პირველი საუკუნიდან დაწყებული მეცხრამეტემდის**. ასი სურათი სხვა და სხვა პირთა და ნაშთთა, ორი გეოგრაფიული რუკა. გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და პოლიტიკური ცნობანი, აგრეთვე მრავალი ჯერედ გამოუცემელი დოკუმენტი.

1. საქართველოს გეოგრაფია; აღწერა არა მარტო თანამედროვე საქართველოსი, არამედ ყველა ადგილისა, სადაც უხსოვარ დროიდან სცხოვრობდა ქართველი ტომი,—1—21 გვერდი.

2. ეთნოგრაფია საქართველოსი; გამოკვლევა ქართველ ტომის პირველ-ყოფილ ნათესავისა ძველ წარწერათა და სხვა არქეოლოგიურ აღმოჩენათა საშუალებით,—გვ. 1—47.

3. საქართველოს პოლიტიკური ისტორია; აღწერა იმავე დოკუმენტების საშუალებით,—გვ. 1—54.

ეს არის შესავალი წიგნისა. შემდეგ იწყება თვით მოთხრობა.

**თავი 1**; ქართველთა რწმენა; გაბათილება იმ აზრისა, თითქოს ქართველებს სუსტი რწმენა ჰქონდეთ ან ჰქონოდესთ,—გვ. 1—23.

**თავი 2**: კვართი უფლისა საქართველოში; გაბათილება იმ საბუთთა, რომლებითაც ბევრი სხვა ითვისებს კვართსა უფლისასა მე-X-ე საუკუნემდის და დამტკიცება კვართის არსებობისა საქართველოში პირველ საუკუნოებში,—გვ. 1—52.

**თავი 3**: წმ. ანდრია მოციქული პირველ-წოდებული საქართველოში; გაბათილება იმ აზრისა, თითქოს ანდრია საქართველოში არა ყოფილიყოს,—გვ. 1—34,

**თავი 4**: ქრისტიანობა საქართველოში წმ. ნინომდე. გავრცელება ქრისტიანობ[ის]ა საქართველოში პირველ საუკუნოებიდან[ვე]; ქრისტიანი პირნი, მოწამენი და მწერალნი,—გვ. 1—27.

**თავი 5**: წმ. ნინო. უცხო და ჩვენი დოკუმენტები მის ცხოვრების ისტორიის შესახებ,—გვ.—1—83.

**თავი 6**: ქრისტიანობის პროგრესსი საქართველოში წმ. ნინოს შემდეგ. აღწერა პირველ ეკლესიი[სა]; ცხოვრება იმ პირთა, რომელთაც მოსპეს წარმართობა და განამტკიცეს ქრისტიანობა,—გვ. 1—42,

**თავი 7**: განყოფა ქართველთა და სომეხთა ეკლესიისა და თარგმნა საღმრთო წერილისა. სომეხთა პრეტენზიები ჩვენის ეკლესიის შესახებ, ჩვენ კათოლიკოსთა დანიშვნის შესახებ; გამოკვლევა პირველ თარგმანთა,—გვ. 1—45.

✦ **პ. სტოლიპინი.** როგორც ვწერდით, მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე სტოლიპინი ავად იყო. მინისტრი სტოლიპინი დასასვენებლად რამდენსამე ხნით გაგრაში ჩამოვა. „ნაშა გაზეტას" სიტყვით, სტოლიპინი ამიერ-კავკასიის უმთავრეს ადგილებს დაათვალიერებს.

✦ **სროლა.** დეპეშათა სააგენტოს ცნობით, 19 მარტს ბაქოში ვიღაც უცნობებსა და პოლიციის შორის სროლა ატეხილა. უცნობებს მოუკლავთ საიდუმლო პოლიციის აგენტი და გოროდოვოი. ექვით შეუპყრიათ ერთი.

✦ **ბოროტმოქმედის მოკვლა.** როგორც ქიათურიდან გვატყობინებენ, სოფელ სვერის მცხოვრების ვლადიმერ წერეთლის სახლი გადაუწვავს იასონ ცუცქირიძეს. იასონ ცუცქირიძე ამ ათი წლის წინად ქურდობისა და სხვა ავკაცობისთვის პასუხისგებაში ყოფილა მიცემული და თუმცა სასჯელი გადაუწყვიტეს, მაგრამ იგი გაქცეული და ამდენხანს იმალებოდა თურმე. ეს ცუცქირიძე დაუძინებელი მტერი ყოფილა წერეთლისა. ეს ამბავი გაუგია ადგილობრივ მამასახლის, სოფ. სვერში მიუკვლევია და შეტაკების დროს მოუკლავს. ამის შემდეგ სოფ. სვერის მცხოვრებნი იმედოვნებენ, რომ მათზე გაწერილი 26,000 მანეთი გადამწვარ წერთლის სასარგებლოდ აღარ გადახდებათ.

✦ **სახელმწიფო ფულის გაფლანგვა.** ტფ. საგუბერნიო სამართველოს მდივანს გაუფლანგავს სახელმწიფო ფული 10,000 მანეთამდე. საგუბერნიო სამართველომ საქმე გამომძიებელს გადასცა, რომელმაც ჩვენების ჩამორთმევისა და ზოგიერთ ცნობების მოკრეფის შემდეგ, მდივანი ჩატალბაშიანცი დააპატიმრა.

✦ **მკვლელობა.** დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ბაქოში ერთ მედუქნეს შეჰვარდნია ორი ბოროტგამზრახველი და ფული მოუთხოვნიათ, მედუქნეს წინააღმდეგობა გაუწევია. უცნობებს მედუქნე მოუკლავთ. შეუპყრიათ ერთი მკვლელთაგანი.

✦ **გოგოლის დღესასწაული ქართულ გიმნაზიაში და სხვაგან.** გუშინ, 20 მარტს, ქართულ გიმნაზიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა გოგოლის სალიტერატურო დილა. გადაიხადეს პანაშვიდი მწერლის სულის მოსახსენებლად. შემდეგ ერთმა მასწავლებელმა წაიკითხა რეფერატი გოგოლზე. მოსწავლეებმა წარმოადგინეს ნ. გოგოლის „რევიზორის" პირველი მოქმედება. ამავე დღეს ტფ. ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებელში იუქმეს ნ. ვ. გოგოლის დაბადების დღე; ბევრგან სალიტერატურო დილა-საღამოები გამართეს. ტფ. ქალაქის სკოლების მოსწავლეთათვისაც სალიტერატურო დილა გაიმართა.

✦ **„საქართველოს ეკლესიის დევნა".** ამ სათაურით გაზეთ „რეჩის" უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია კორესპონდენცია. კორესპონდენციაში ჩამოთვლილია ყველა ის, რაც ამ ბოლოს დროს საქართველოს ეკლესიამ განიცადა.

✦ **საჩუქრები.** როგორც ვიცით, ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის კანტორთან შემნახველი კასა არსებობს. ფოსტა-ტელეგრაფის ზოგიერთ მოხელეს შემნახველ კასაში შრომისთვის საჩუქრები მიუღიათ. სულ გასანაწილებელი ყოფილა 2229 მანეთი. აქედან მიუციათ: კასის გამგესთვის—437 მანეთი, კანტორის უფროსისთვის 392 მან., მის თანაშემწისთვის 175 მ., დანარჩენებისთვის 75 მან. და ნაკლები.

✦ **„იალქანი".** ხვალ, კვირას, გამოვა ყოველ კვირეული ჟურნალი „იალქანი", ნომერი მეორე.

✦ **მოკლული ქალი.** 19 მარტს ბოტანიკურ ბაღის თავზე ძველი ციხის ნანგრევებში პოლიციამ ნახა მოკლული ქალის გვამი. ქალი 22-25 წლისა იქნება. მოკლულს ფეხები თოკით შეკრული ჰქონდა.

✦ ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებით დააჯარიმეს: ნუხის მცხოვრები სედრაქ დოსტიევი 1 მანეთით, გუმრის მცხოვრები მიკირტიჩ ტაპინიანცი-10 მან; სარქის სტეფანოვი -3 მან; მიკირტიჩ ტელიარიანც-5 მან. საგენერალ-გუბერნატოროდან გაძევებულ იქნა მიკირტიჩ მინასოვი, ერთის თვით დააპატიმრეს ლევან შანშიაშვილი.

**ქ უ თ ა ი ს ი**

✦ **გრ. რობაქიძის ლექცია.** 17 მარტს გრიგოლ რობაქიძემ ქალაქის თეატრში წაიკითხა მეტად საინტერესო და ორიგინალური ლექცია „ვაჟა-ფშაველა". ნიჭიერმა ლექტორმა დაგვანახვა, რომ ჩვენ, ქართველები, ჩვენდა სამარცხვინოდ, ვერ ვცნობთ ჩვენს საუკეთესო შვილთ, ვერ ვხედავთ იმ ძვირფას მარგალიტებს, რაც ჩვენს ლიტერატურაშია გაბნეული, და იმავე დროს კისრამდის ჩაფლული ვართ არცი-ბაშევების ნაწერებში: ვაჟა-ფშაველა ნამდვილი „terra incognita" ყოფილა ჩვენის საზოგადოების დიდ უმეტესობისათვის. მას წარმოდგენაც კი არა ჰქონია ამ სად ბუნების შვილის მხატვრულ ნიჭსა და მდიდარ პოეზიაზე, იმის იდეათა სიფართოვესა და სიდიადეზე. ბ-ნმა რობაქიძემ თვალ-წინ გადაგვიშალა ვაჟას პოეზიის ის მიმალული კუნჭულები, რომელსაც უბრალო თვალი ვერ მისწვდებოდა. მან გვამცნო, რომ ამ მკაცრ ბუნების შვილს გულში უღვივის ნაპერწკალი უდიდეს სიყვარულისა; მან გვითხრა, რომ ჩვენი ვაჟა უგანათლებულეს ერთა ლიტერატურას დაამშვენებდაო. თუმცა ბევრი, იქნება, არ ეთანხმებოდეს პატივცემულ ლექტორის ზოგიერთ დებულებას, არ მოსწონდეს მის მიერ შექმნილი ტერმინები და ახლად შემოღებული სიტყვები და სხვა, მაგრამ იმის უარის ყოფა კი არავის შეუძლიან, რომ ლექცია მეტად საინტერესო და დიდმნიშვნელოვანი იყო. ბ-ნმა რობაქიძემ ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, რომ ქართული ლიტერატურა არ არის ისე აბუჩად ასაგდები, როგორც ზოგიერთსა ჰგონია. რომ ქართული ენა არაა იმდენად განუვითარებელი, როგორც ეს ეჩვენება ზოგს, რომელიც თავის შვილებს კიდეც უკრძალავს სასწავლებელში ქართულის სწავლას.

როგორც მოსალოდნელი იყო, ლექციას დიდძალი საზოგადოება დაესწრო, რომელიც აღტაცებულის ტაშისცემით ეგებებოდა ლექტორს.

# ბრწყინვალე საცოდაობა

ქალაქში განაპირა ალაგას ვცხოვრობ, სათავად-აზნაურო კერძო გიმნაზიის პირდაპირ. ამას წინად ერთ უცხოელს დაუთვალიერებია ეს უზარმაზარი, მილიონ მანეთის შთამთქმელი სასახლე-სასწავლებელი და ქართველთათვის გულის მოსაფხანად უთქვამს: „ის ერი, რომელმაც ასეთი შენობა ააგო, თავის დღეში არ მოკვდებაო".

**ხვალინდელ სურათებიან დამატების შინაარსი: „სახიფათო სიყვარული", ისტორიული მოთხრობა (შემდეგი) ვ. ბარნოვისა; სურათები: „ქრისტე ეკლის გვირგვინით", სურათი გვიდორენისა; ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვა პარიზში; ქართველი მაჰმადიანი ჯელალ-მაჰირ-მემარნე (მემარნიშვილი); ავსტრიის ჯაშუშების უფროსი სერბიაში, კარლ მილლერი თავის ცოლითა და შვილებით და კარიკატურა.**

მე კი, ვეება ქართულ გიმნაზიის მუდამ-დღე შემყურეს, აშკარად მოგახსენებთ, გულს მიკლავს იმისი დიადი და ბრწყინვალე სანახაობა. რაშია საქმე? ის მოვლენა, რომელიც, უცხოელ ადამიანის თვალში, ჩვენი ქართველი ერის დღეგრძელობას და უკვდავებას მოწმობს, მე, ამ ერის შვილს, მკლავს და დღეს მიმოკლებს.

დავუკვირდეთ ამ მოვლენას და ვეცადოთ ეს უცნაური ამოცანა ავხსნათ.

შენობა—თავად-აზნაურობის გიმნაზიაა და ჩვენი მოწინავე წოდების სულის ვითარებას სავსებით გამოხატავს. ვინ არ იცის, რომ ეს წოდება ჩვენში ქონებრივად და სულიერად ერთობ დაცემულია, რომ მრავალი თავადი და აზნაური ჩვენში გლეხებზე ღარიბად ცხოვრობს, მერე რანაირად მოხდა, რომ ამ ღარიბმა ხალხმა თავის ღარიბ და მშიერ შვილებისათვის ასეთი ბრწყინვალე და საუცხოო შენობა ააგო? ამოცანა ადვილი ასახსნელია. ამ წოდების მეთაურები, უფრო მსხვილი და გავლენიანი თავად-აზნაურნი, მთელ სათავად-აზნაურო საქმეს განაგებენ და თავიანთ კვალს ამჩნევენ: ისინი სულ მცირე ყურადღებას აქცევენ თავად-აზნაურთა დიდ უმრავლესობის სიღარიბეს და ბეჩაობას.

კარგა მოგეხსენებათ, რომ საქართველოს დაბა-სოფლებში აქა-იქ კანტი-კუნტად გაფანტულია უფრო შეძლებულ თავად-აზნაურ მემამულეთა სასახლეები. ამ მემამულეთაც ამ დროში ძრიელ უჭირთ ცხოვრება, ხალხის მოძრაობით ყოველ მხრივ შევიწროვებულნი, ისინი თავის დღეში არ აგრძნობინებენ სტუმარსა და უცხოელ მგზავრს, რომ თავიანთ ფართო სახლებში ვიწროდ არიან და მშივრები სხედან. ამას მოითხოვს წოდებრივი სიამაყე, მამა-პაპათაგან ნაანდერძევი წარჩინებული თავ-მომწონობა.

სწორედ ამ წოდებრივმა თავ-მოწონობამ ააგებინა გავლენიან მოწინავე თავად-აზნაურთ ის ვეება შენობა—სასწავლებელი, სადაც უმრავლეს თავად-აზნაურთა შვილები ვიწროდ არიან და მშივრები სხედან.

ამ მოვლენაში სავსებით გამოიხატა ბრწყინვალე წოდების ფუქსავატი. მიდრეკილება—დიდი გარეგნობა და საცოდავი შინაარსი.

ზამთარში, სუსხიან დღეებში, საზაფხულოდ ტანთ-ჩაცმულნი, გაყინულ ტალახით გაჟღენთილ-წუღებიანი, სიცივისაგან აკანკალებული ბავშვები. შედიან დილ-დილას ამ ბრწყინვალე სასახლე-სასწავლებელში და, სანამ კლასში ფეხს შედგამდნენ მიდიან რკინის მილებთან, რომელთა საშუალებით თბება მთელი შენობა, იხდიან ნესტიან და გაყინულ წუღებს, სდებენ ამ გამთბარ მილებზე და იქვე, ამ მილებთან საცოდავად ჩაცუცქებულნი, იცდიან, სანამ მათი ფეხსაცმელი გაშრება, რათა შემდეგ ჩაიცვან და კლასში შევიდნენ.

ბავშვები, უმრავლესად ღარიბ უბნებში ღარიბად დაბინავებულნი, სადაც ერთ ოთახში ხშირად ათ სულზე მეტი ცხოვრობს, დილით მშივრები მიდიან სასახლე-სასწავლებელში და მსუნაგის თვალით შესცქერიან თავიანთ ამხანაგებს, რომელთაც მოწყალე ბედმა დილასჩაი და პური არგუნა და სასწავლებელში ერთი ნაჭერი პური გამოატანა. როცა ეს ბედნიერი პატარა მოსწავლეები გაკვეთილებს შუა თავისუფალ დროს თავიანთი მოტანილი პურის ჭამას შეუდგებიან, ძლივდან უჭმელი ამხანაგები გარს ერტყმიან და გულ-მოდგინეთ სცდილობენ რამე დასცინცლონ და შიმშილი მოატყუონ.

ერთმა მასწავლებელმა მითხრა, ველარ მიმაქვს ჩემი საუზმე გიმნაზიაში, რადგან ამ დამშეულ ბავშვების ჯარში პურის ჭამისა მრცხვენიაო.

ამ დროს სასახლე-გიმნაზიის ვეება ფანჯრებში ანათებს ჩვენი ბუნება-უხვი ქვეყნის მუდამ-ჟამს სხივ-მფინარე მზე და თითქო დასცინის ამ დიდებით მოსილ სისაწყლეს, ამ ბრწყინვალე საცოდაობას.

ი. ნაკაშიძე.

# „კახეთის" საზოგადოება

**დღევანდელ თავ.-აზნაურთა კრების საყურადღებოდ.**

ხალხში ხმა გავრცელდა, რომ „კახეთის" საზოგადოების საქმე ცუდ მდგომარეობაშიაო: ვალი დიდ-ძალი აქვს და თუ 150,000 მანეთამდე ფული ვერ იშოვნა სესხად ან სხვა რიგად, ფირმა კერძო პირთ დარჩებაო. კახელებისათვის ეს ამბავი გულ-მოსაკლავი ამბავია. ყველა ფიქრობს, ნუ თუ უნდა ჩაქრეს და კერძო პირთ დარჩეს მთელი კახეთისთვის ერთად-ერთი სასარგებლო სავაჭრო საქმე?

„კახეთის" საზოგადოებამ ოპერაცია დაიწყო 1894 წელს თითქმის უთანხოდ. დღემდე გაუყიდნია თითქმის ერთ მილიონამდე ვედრო ღვინო. ყველა იკითხავს, ამოდენა ღვინო გაუყიდნია და ნუ თუ ფული ვერ მოიგო და, პირიქით, ვალიც კი დაიდოო. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ საქმეს დიდი ფული უნდა მოეგო და ვალი ხომ სულ არ უნდა დასდებოდა. მაგრამ საუბედუროდ, ძლიერ სუსტად და ნამდვილ ქართველურად მოეპყრნენ ამ კარგ საქმეს, როგორც გამგეობა, ისე ზოგიერთი წევრები. ეს უკანასკნელნი უფრო მტრულად მოეპყრნენ, ვიდრე მოყვრულად. რა ექნა გამგეობას, როდესაც 85,000 მანეთი გაიტანეს ავანსად და აქ გატანილ ფულში არა თუ ღვინო არ ჩამოუტანეს, არამედ წევრობიდანაც ამოეწერნენ. ზოგმაც „კახეთს" ცხვირ წინ გაუხსნა სავაჭრო სარდაფი და კონკურენციასაც-კი უწევდა.

დიახ, ეს იყო პირველი შემრყევი „კახეთის" საზოგადოებისა. პირველ წლებში ვერ იგრძნობდა საზოგადოება ამ შერყევას, მაგრამ ბოლო დროს, როდესაც მოვალეებმა ერთბაშად მოსთხოვეს. თავიანთი შესამჩნევი დიდი დასთა ამ ჯამმა. წარმოიდგინეთ ეხლა, რომ ეს 85,000 მანეთი ამ ვაჭრობაში ტრიალებდეს რაღად გაუჭირდება საზოგადოებას ფული. რად აძლევდა გამგეობა ამდენ ფულს? ნუ თუ არ იცოდა, რომ ყოველივე სავაჭრო დაწესებულება მაშინა სდგას მაგრად, როცა წარა-მარა ნისიასა და ავანსებს არ არიგებს?

ბევრი სხვა მიზეზიც არის საქმის დაქვეითებისა, მაგრამ არა ღირს ჯერ-ჯერობით ამაზე ლაპარაკი. არა ნაკლები ზარალი მისცა საზოგადოებას 1907 წლის 4 თვის გაფიცვამ.

მაინცა და მაინც კიდევ დიდი უნარი და შნო გამოიჩინა საზოგადოებამ, რომ აქნობამდე დონდილობს, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ პირადად წევრებს არაფერი ზარალი არ მოსვლიათ: ის წევრები, რომელთაც 85,000 მანეთი გაიტანეს ავანსად და ჯერაც არ დაუბრუნებიათ, ხომ მოგებაში არიან და არიან, დანარჩენმა წევრებმაც არაფერი წააგეს, რადგან მოგებას ადგილობრივ, ქვევრზედვე იღებდნენ და იღებენ. გასაოცარი კიდეც არის, რომ რაც „კახეთი" არსებობს, იმის წევრებს მოგება მიუღიათ ზედ ქვევრზედ 400,000 მანეთამდე. და აი საიდან: როდესაც კახეთში მაზანდად იყო საპალნე 50 მანეთიდან ვიდრე 70 მანეთამდე, საზოგადოება აძლევდა 70 მანეთიდან ვიდრე 120—140 მანეთამდე. წელსაც კახეთში 20 მანეთიდან იყიდით საპალნე ღვინოს, საზოგადოების უკანასკნელი ფასი-კი 40 მანეთია. ნუ თუ ეს მოგება არ არის? ამასთან ნუ დაგავიწყდებათ, რომ საზოგადოება საპალნეს იწყავს 30 ჩაფით (ე. ი. 43 ვედ.), კერძო მოვაჭრე კი—32 ჩაფით (ე. ი. 48 ვედროთი). განსხვავება 3 ვედროა საპალნეზე, რაიცა დიდ აღებ-მიცემობაში შესამჩნევ ჯამს აკეთებს. მაშასადამე, „კახეთს" სარგებლობა მოუცია თავის წევრებისათვის და არა ზარალი. ამასთან რაც საზოგადოება „კახეთი" არსებობს, არ [illegible] გაჰყიდოდეს მაშინ ბანკში ან კერძო ვალში. [illegible] ზე შაბიამანი და გოგირდიც კარებზედ მიზდიოდა უზრუნველად. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ „კახეთმა" გააცნო მთელ რუსეთს კახურ ღვინოს გემო, და ნელ-ნელა ბაზარსაც პოულობს.

ვფიქრობთ, რაც აღვნიშნეთ, ისიც საკმაო უნდა იყოს იმის დასასაბუთებლად, რომ „კახეთის" საზოგადოება სასარგებლო დაწესებულებაა კახეთისათვის.

დიახ, ეხლა ცუდ მდგომარეობაშია საზოგადოება. ათასი თვალი უყურებს, როდის დააკაკუნებენ ჩაქუჩს და ეს მზამზარეული ხელში ჩაგვიკარდებაო. საზოგადოება უნდა დარჩეს, მხოლოდ საჭიროა გულ-მოდგინეობა, მუყაითი და სიფრთხილე საქმის წაყვანაში. საჭიროა ვისარგებლოთ წარსულის გამოცდილებით და თავიდან ავიშოროთ ის, რაც ზარალში აგდებდა საზოგადოებას.

ი—მ.

# ბალკანეთი

**რუსეთ-ოსმალეთის შეთანხმება.**

რუსეთი და ოსმალეთი, როგორც ვიცით, შეთანხმდნენ იმ ფულის შესახებ, რომელიც ბოლგარიამ უნდა გადაუხადოს ოსმალეთს. რუსეთს ეგონა, რომ ამ შეთანხმებით იგი ბოლგარიის გულს მოიგებდა, მაგრამ „რეჩ"-ის კორესპონდენტი იუწყება, რომ ეს შეთანხმება ჭკუაში არ მოსდით არც ბოლგარიის მთავრობასა და არც ხალხსაო. კორესპონდენტი სწერს:

„პირიქით ბოლგარიაში ყველანი უკმაყოფილონი არიან ამ შეთანხმებით, ერთის მხრით, იმედი გაუცრუვდათ ყველას, ვისაც ეგონა, რომ ამ შეთანხმების შემდეგ სახელმწიფოები ოფიციალურად აღიარებენ ბოლგარიის სამეფოს. ეხლა-კი როგორც სჩანს, ბოლგარიას ოფიციალურად არა სცნობენ სამეფოდ, სანამ ყველა სადავო საკითხი ოსმალეთსა და ბოლგარიას შორის არ იქნება გადაწყვეტილი. ეს, რასა თქმა უნდა, არ ესიამოვნება ბოლგარიას. მაგრამ ყველაზე მეტად ბოლგარებს ისა სწყინთ, რომ რუსეთ-ოსმალეთის შეთანხმება რიგზე არ არკვევს აღმოსავლეთ-რუმელიის რკინის გზის გამოსყიდვის საქმეს. ბოლგარებს ეშინიანთ, ვაი თუ ამ გამოურკვევლობით ისარგებლონ მარჯვე და ვერაგმა დიპლომატებმა და კიდევ ხელახლად ასტეხონ დავიდარაბაო.

რასაკვირველია, რაკი რუსეთი შუამავლობას დასთანხმდა, ბოლგარიამ ამით თავიდან მოიხსნა ყოველი პასუხისგება ამ საქმეში. მაგრამ ეს სავალდებულო როდია აღმოსავლეთ რკინის გზის საზოგადოებისთვის. მისი აზრით, პასუხი უნდა აგოს ბოლგარიამ და ამიტომ თავის მოთხოვნას საზოგადოება ისევ ბოლგარიას წარუდგენს. თუ ბოლგარია ეტყვის, რომ პეტერბურგის შეთანხმების ძალით, ყველა ჩემი მოვალეობა ოსმალეთმა იკისრაო,—ასეთს პასუხს საზოგადოება არად ჩააგდებს. ადვილი გასაგებია, რომ მოხერხებულ დიპლომატიას შეუძლიან ეს საქმე ხელზე დაიხვიოს და საქმე გაუჭირვოს ბოლგარიას.

ეხლავე სჩანს ნიშნები, რომ ავსტრია-გერმანიის დიპლომატიას არა სძინავს და რაღაცა ხრიკებს ამზადებს. აღმოსავლეთის რკინის გზის საზოგადოებამ, ავსტრიისა და გერმანიის ძალდატანებით, უკვე მოსთხოვა ბოლგარიას,—რაც შეიძლება ჩქარა შეისყიდეთ ის რკინის გზა, რომელიც ხელში ჩიიგდეთო. ბოლგარია ოსმალეთთან ჰგზავნის საზოგადოებას, იმან უნდა გაგცეთ პასუხი, მაგრამ საზოგადოება, როგორც მცოდნე კაცები ირწმუნებიან, როდი დაიწყებს ოსმალეთთან ამ საქმეზე ხელახლად ლაპარაკს, მით უმეტეს, რომ ოსმალეთი ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლებად დაათუსოს ხსენებული რკინის გზა. საზოგადოება თავის მოთხოვნას ისევ „ნამდვილ პასუხისმგებელს" ბოლგარიას წარუდგენს და რასაკვირველია მის მ[illegible]

---

**თავი 8:** არაბთა და სელჯუკთა შემოსევა; აღწერა მათთა საქმეთა საქართველოში,—გვ. 1—161.

**თავი 9:** საქართველოს მონაზონობის აღორძინება. აღწერა საქართველოს და უცხო მონასტერთა, სხვა და სხვა პირთა ცხოვრებისა,—გვ. 1—73.

**თავი 10:** საქართველოს კათოლიკოსები; აღწერა მათთა და მათ დროს მომხდარ საქმეთა. გვ. 1—108.

**თავი 11:** მუდალთა შემოსევა; პირველი ხანა კათოლიკების მისსიისა (მე-XII და XIII საუკ.) აღწერა მათთა საქმეთა.

**თავი 12:** ახალი შემოსევა თურქთა და სპარსთა. უკანასკნელი ხანა კათოლიკების მისსიისა. მისსია თეათინელ მამათა 1626—1700 წლ.. აღწერა ამ დროს მომხდარ საქმეთა,—გვ. 1—160.

**თავი 13:** მისსია კაპუცინებისა 1666—1845 წლ.. აღწერა მათთა და სხვა ამ დროინდელ ამბავთა,—გვ. 1—220.

**თავი 14:** რეზუმე და დასკვნა;—გვ. 1—7.

აი რა შინაარსისაა პატრ მ. თამარაშვილის ახალი წიგნი. როგორც ვხედავთ, იგი უბრალო შრომა არ არის, არამედ ფრიად რთული. იგი არ არის აგრეთვე მარტო საეკლესიო ისტორია; ავტორს განხილული აქვს საეკლესიო ისტორია საზოგადოდ საქართველოს ისტორიულ ცხოვრებასთან ერთად, როგორც მისი ბუნებრივი ნაწილი. მიზანიც მისი არა ყოფილა მხოლოდ „ეყვირა", არამედ მართალი და ნამდვილი ცნობა მიეწოდებინა ევროპისათვის საქართველოსა და განსაკუთრებით მისი ეკლესიის შესახებ. აი რასა სწერს ავტორი წინასიტყვაობაში:

„ჩვენ დავრწმუნდით, რომ საქართველოს ისტორია, განსაკუთრებით მისი ეკლესიის ისტორია, ძლიერ ნაკლებად იციან (ავტორს უნდა სთქვას—ევროპაში, რასაკვირველია). ამიტომაც განვიზრახეთ გვეძღვნა ისტორიის მეგობართათვის ეს შრომა, რომელიც მათ სწორად გააცნობს **საქართველოს ეკლესიის** ნამდვილ ვინაობას. რასაკვირველია, ეს საქმე ჩვენთვის ძლიერ ძნელი იყო; საქართველოს ეკლესიის ნამდვილი ისტორია არ დაწერილა ჯერ, და ამიტომაც ჩვენ ყველგან და ყოველივე ვიკვლიეთ, რომ ამ ისტორიისათვის საჭირო ცნობები შეგვეკრიბა (ყველა ტექსტი, ჩვენ მიერ დაბეჭდილი, ან გამოუცემელია, ან და ძლიერ ძვირად საშოვნელ წიგნებში მოიპოვება), მაგრამ ჩვენ არა ვნანობთ, რომ ამდენი შრომა გავსწიეთ. ჩვენა გვსურდა ნათელ გვეყო ისტორია იმ ეკლესიისა, რომელიც მრავალი საუკუნე არსებობს და ღირსია განცვიფრებისა და სიმპატიისა; იგი გმირულად წინააღუდგა ყოველ-გვარ მწვალებლობას, რომ წმინდათ დაეცვა თავისი პირველი სარწმუნოება. ამასთან იგი გაუმკლავდა საუკუნეთა განმავლობაში ქრისტიანობისა და ცივილიზაციის დაუძინებელ მტერთ. იგი საუკუნო ჯვაროსანი იყო, მისი ცხოვრება იყო დაუსრულებელი მოწამებრივი ცხოვრება. თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ საქართველოს ეკლესია ყველა აღმოსავლეთელ ეკლესიაზედ უფრო მეტად ეწამა სარწმუნოების დაცვისათვის. ჩვენ განვიხილეთ ყველა ხანა საქართველოს ეკლესიის ისტორიისა: მისი დაბადება, განვითარება, დაცემა. დავიწყეთ იგი ამიტომ პირველ საუკუნიდან და განვიხილეთ ყველა საკითხი, რომელსაც ეკლესიასთან კავშირი ჰქონდა.

რომ უფრო ცოცხალი ინტერესი მიგვეცა ამ შრომისათვის, შიგ ჩაურთეთ მრავალი სურათი სხვა და სხვა პირთ და ქართულ ნაშთით, რამდენიც ვიშოვნეთ.

რამდენადაც შესაძლებელი იყო ქრონოლოგიურ წესს მივდევდით.

ჩვენ საჭიროდ ვცანით აგრეთვე მიგვემატებინა ეკლესიის ისტორიისათვის ისტორია სამოქალაქო და საპოლიტიკო, და **შესავალი** ამ წიგნისა მოვანდომეთ გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ და პოლიტიკურ ცნობებს საქართველოს შესახებ; ჩავურთეთ აგრეთვე ორი გეოგრაფიული რუკა ძველისა და ახალის საქართველოსი; ვისარგებლეთ დიდ სომხეთში და სხვაგან აღმოჩენილ ლურსმულ წარწერებითა, და ჩვენ კვლევაში შევვიძლია პრეისტორიულ ხანასაც კი მივადგეთ. ჩვენ გვგონია, რომ ეს შრომა, რამდენადაც შეგვეძლო, სრული გამოვიყვანეთ და აგრეთვე საინტერესო თავის კვალობაზე. ამიტომაც დარწმუნებული ვართ, რომ საზოგადოება სიამოვნებით მიეგებება მის გამოცემას".

აი რა იმედები აქვს პ. მ. თამარაშვილს თავის მართლაც და საინტერესო შრომისა. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს შრომა კარგი ოთხი წელიწადია რაც დაუწერია, გამოცემა კი არ ხერხდება უსახსრობისა გამო. ეს ოთხი წელიწადი ავტორი სცდილობს იშოვნოს საჭირო სახსარი წიგნის გამოსაცემად მაგრამ ამაოდ. მდიდრებმაც კი 30 ან 20 ფრანკი გადმომიგდესო, სთქვა გულ-ნატკენმა მ. თამარაშვილმა.

ეხლა იგი უკანასკნელადა სთხოვს ყველა ქართველს, ვისაც რა შეუძლიან, გაუწიოს დახმარება ამ ფრიად სასარგებლო წიგნის გამოსაცემად, რომ ერთ ევროპიულ ენაზედ ერთი წიგნი მაინცა გვქონდეს ჩვენის ვინაობის ევროპისათვის გასაცნობად. მე ჩემი ძალა, გონება და დრო არ დავიშურე ყოველივე შევსწირე საქართველოს წარსულისა და აწმყოს კვლევას, სხვამ კი ცოტა, სულ ცოტა დახმარება მაინც გამიწიოსო. არც ისე ვარგა, რომ საზოგადოებამ თავისი მშრომელი წევრი არა თუ დაუხმარებლად, სრულიად უყურადღებოდაც დასტოვოს, რადგან რომში ჩემს მეტი არც არავინაა ქართველების შესახებ ხმის ამომღებიო.

რომში კი არა, მგონი ევროპაშიაც არავინ არის ასეთი, და ჩვენ საზოგადოებაში მგონი უნდა მოიპოვებოდნენ ისეთები, რომელთაც შეუძლიანთ 30 ფრანკზედ მეტი გაიღონ ამ წიგნის გამოსაცემად. მათ არა დააკლდებათ რა, ჩვენთვის კი დიდი საქმე იქნება. თორემ ადამიანის მოთმინებასაც საზღვარი აქვს: შეიძლება პატრი მიხეილ თამარაშვილი სულ დაგვეკარგოს, თუ ასეთი გულ-გრილობა გამოვიჩინეთ მისდამი. ეს ძილიერ ადვილად არის შესაძლებელი.

ოდისსევს.

თხოვნას ბეჯითად დაუჭერს მხარს ავსტრიისა და გერმანიის დიპლომატია. ადვილად შეიძლება, რომ ამ დავამ ხელახლად გაართულოს და გამწვავოს ბალკანეთის საკითხი, ეს გარემოება ძლიერ აფიქრებს ბოლგარიის მთავრობას.“

**გერმანიის პირველობა.**

სერბიის საქმეში ავსტრიამ გაიმარჯვა თავის მოკავშირე მძლავრ გერმანიის დახმარებით. გერმანელი დიპლომატები გამარჯვებას დღესასწაულობენ და ამიტომ აცხადებენ, რუსეთი რომ ბოსნია-ჰერცოგოვინას ანექსიას დასთანხმდა—ეს ჩვენი საქმე არისო.

გერმანული პრესა სიამოვნებით აწერს გერმანიის დიპლომატიის გამარჯვებას და იმედოვნებს, რომ გერმანიის გავლენა ბალკანეთში ამას იქით უფრო გაძლიერდებაო.

ინგლისური პრესსა აღნიშნავს, რომ დიდ სახელმწიფოებში პირველობა გერმანიას დარჩა, მაგრამ ინგლისი ამას არ მოითმენსო.

**სერბების დაღონება.**

„ნაშა გაზეტა“-ს კორესპონდენტი ცნობილი ამფითეატროვი იუწყება ბელგრადიდან: „ცნობამ, რომ რუსეთი დასთანხმდა ბოსნია-ჰერცოგოვინას ანექსიასო, გული დასწყვიტა სერბებს. სერბიის პირველმა მინისტრმა ნოვაკოვიჩმა განაცხადა საერო კრებაში, სანამ ოფიციალური ცნობა არ მოგვივა, ვერ დავიჯერებ, რომ რუსეთი ანექსიას დასთანხმდაო. რუსეთის საელჩო ყველას ეუბნევა, რომ მაგ საქმეზე არა ვიცით რაო. ყველანი მკაცრადა ჰგმობენ რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს იზვოლსკის“.

**ბერლინის ხელ-შეკრულობის მე-25 მუხლი.**

რუსეთი დასთანხმდა ბოსნია-ჰერცოგოვინას ანექსიას (შეერთებას) და ბერლინის ხელ-შეკრულობის მე-25 მუხლის გაუქმებას. ეს მუხლი შემდეგის შინაარსისაა:

„პროვინციებს ბოსნიასა და ჰერცოგოვინას დაიჭერს და მოუვლის ავსტრო-ჰუნგრეთი. რადგან ავსტრ.-ჰუნგრეთის მთავრობა არა კისრულობს თავის თავზე ბოსნიის ნაწილის—ნოვობაზარის სანჯაკის მართველობას, ამიტომ ამ სანჯაკში წინანდებურად დარჩება ოსმალეთის მმართველობა. მაგრამ ახალ პოლიტიკურ წეს-წყობილებისა და აგრეთვე გზებზე უშიშროების უზრუნველსაყოფელად, ავსტრ.-ჰუნგრეთს უფლება აქვს სანჯაკში ყველგან იყოლიოს მეციხოვნე ჯარი და გაიყვანოს სამხედრო და სავაჭრო გზები“.

**კარაგიორგიევიჩების გადგომა ტახტიდან.**

რუსულ გაზეთებს კ ევ ატყობინებენ ვენიდან: ზოგიერთი დიდი სახელმწიფო მოითხოვს, რომ სერბიის მეფე პეტრე გადადგეს ტახტიდან და მთელი მისი გვარეულობა—კარაგიორგიევიჩები სერბიიდან სხვაგან სადმე გადასახლდნენო. სერბიის საერო კრებას ორ კანდიდატს წარუდგენენ და მათგანს ერთ-ერთს აარჩევინებენ: ერთ-ერთ გერმანელ პრინცს და მეორეს—სკანდინაველ პრინცს ვოლდემარს. რესპუბლიკის დაარსების ნებას არ მისცემენ სერბებს.

სერბიის 14 ქალაქმა დეპეშით მოსთხოვა მთავრობას, რომ მან დიდი საერო კრება მოიწვიოს მეფის მემკვიდრის საქმის გადასაწყვეტად. სერბიის მინისტრთა საბჭოში იუსტიციის მინისტრმაც ბეჯითად მოითხოვა დიდი საერო კრების მოწვევა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ბატონიშვილ გიორგის გადადგომა უკანონოდ იქნება ცნობილი და მას ყოველთვის შეეძლება უკან წაიღოს თავისი განცხადებაო.

**გერმანიის ელჩის სადილი.**

გერმანიის ელჩმა გრაფ პურტალესმა პეტერბურგში საგანგებო სადილი გამართა და ბევრი წარჩინებული რუსიც მიიწვია. მიწვეულთაგან 25-ზე მეტმა კაცმა უარი შეუთვალა ელჩსა. ამ ინციდენტმა გაცხარებული მითქმა-მოთქმა გამოიწვია დიპლომატიურ წრეებში („რ.“).

**სერბიელ აფიცრების გადაწყვეტილება.**

სერბიის აფიცრებმა საიდუმლო თათბირი მოაწყვეს და დაადგინეს, რომ თუ წლის დამლევამდე, სერბიის მთავრობა ომს არ გამოუცხადებს ავსტრიას, ყველანი სამსახურიდან გადავდგეთო.

# მოწერილი ამბები

**ზემოხეთის საზოგადოება** (გურია). სწავლა-განათლების მხრივ ჩვენი საზოგადოება დღემდე უყურადღებოდ იყო მიტოვებული. მართალია, 1906 წლამდე აქ არსებობდა ოთხიოდე ერთკლასიანი სამრევლო სკოლა, მაგრამ სამწუხაროდ, არავითარი ნაყოფი არ მოჰქონდათ ამ სკოლებს. 1906 წელს სასულიერო მთავრობამ ის ოთხიოდე სკოლაც დახურა და საზოგადოება სრულიად უსკოლოდ დასტოვა. ამ გარემოებამ სოფლები ჩომეთი, კალაგონი და აზიეთინი ძალიან შეაწუხა, მაგრამ რას იზამენ. ამ დროს შემთხვევით ზემოხეთის საზოგადოებაში ამოვიდა სოფ. ჩომეთის მღვდელი მღვ. ლ. ხუნდაძე. გაიგო რა სკოლების თავგადასავალი და ხალხის სულის კვეთება, მ. ხუნდაძემ რამდენიმე თვის შემდეგ გაახსნა ორ-კლასიანი სამრევლო სკოლა სამეურნეო განყოფილებით. შეადგინინა ხალხს განაჩენი და წარუდგინა სასულიერო მთავრობას. სასულიერო მთავრობამ 1907 წელს გამოგზავნა ერთი მასწავლებელი, ხოლო მეორის გამოგზავნას დაჰპირდა 1908 წლისთვის. ამავე წლისთვის დაჰპირდა მასწავლებელ აგრონომის გამოგზავნას. სოფლელებმა შეიძინეს 10 ქცევა ადგილი და დაიწყეს შეშის და ქვის შენობის აგება. ხოლო სანამ ქვის შენობას დაამთავრებდნენ, ააგეს მშვენიერი ქვის შენობა, სადაც დღეს სწავლაა გახსნილი. რადგან ერთი მასწავლებელი არ იყო საკმაოთ, თავიანთ ხარჯზე მოიწვიეს მეორე მასწავლებელი. მიმდინარე წლის დასაწყისში მოსწავლეთა რიცხვი 170-მდეავიდა. რაკი არც ორი მასწავლებელი ასდიოდა ამდენ მოსწავლეს, ხალხმა სთხოვა სასულიერო მთავრობას დანაპირის შესრულება, ესე იგი, მასწავლებლის გამოგზავნა. ხალხმა იფიქრა, ორ მასწავლებელს მთავრობა გამოგზავნის, მესამეს კი ჩვენ დავიქირავებთ, მაგრამ სასულიერო მთავრობამ უარი შემოუთვალა და დასძინა: „რადგან თქვენი განაჩენი გუბერნატორმა არ დაამტკიცა, და რადგან განაჩენის ფორმა ჩვენ არა გვაქვს, თქვენ იშოვნეთ ფორმა განაჩენისა და გააკეთეთ ხელახალი განაჩენი. სამოსწავლო საბჭოს განყოფილება აღძრავს შუამდგომლობას სინოდის წინაშე და შეიძლება მოგეცეთ რამე. მანამდი კი იგმარეთ, რაცა გაქვთო“.

ბევრის თათბირის შემდეგ ისევ მ. ხუნდაძეს სთხოვეს, ეშველა რამე. წელს იანვარში ამოვიდა მ. ლ. ხუნდაძე ხალხს თავი მოუყარა და უთხრა: „სასულიერო მთავრობას დღეს-დღეობით ფული არა აქვს, ამიტომ უნდა დავკმაყოფილდეთ იმას, რაც დღეს სასულიერო მთავრობისაგან გვეძლევა. მაგრამ შეგიძლიანთ საქმე სხვა გვარად დააყენოთ. რადგან სასულიერო მთავრობა არ გისრულებთ დანაპირებს, შეგიძლიანთ სკოლა გადასცეთ სამინისტროს და მეტ შემწეობასაც მიიღებთ. მასთან, რადგან შენობები ხელს გიწყობთ, შეგიძლიანთ ერთის ორკლასიან სკოლის მაგიერ გახსნათ ორი ორკლასიანი—ცალკე ქალებისათვის და ცალკე ვაჟებისათვის. თითოეულ ამ სკოლას შეგიძლიანთ გაუხსნათ განყოფილებანი: პირველს—პროფესიონალური, მეორეს—აგრონომიული. ხალხმა ერთხმად მიიღო ეს წინადადება. 22 იანვარს მაზრის უფროსის მოწერილობით და ბოქაულის თანდასწრებით მოხდა სამივე სოფლის კრება. კრებას აუარებელი ხალხი დაესწრო. მ. ხუნდაძემ ხელმეორედ აუხსნა ხალხს მნიშვნელობა იმ ტიპის სკოლებისა, რომელთაც იგი აარსებდა და განაჩენი წაუკითხა. განაჩენის ძალით, ზემოხეთის საზოგადოების სოფლები: ჩომეთი, კალყონი და ნაჩეისტეის(?) საზოგადოების ნაწილი აარსებენ ზემოხეთ-ნაჩეიშვილის სეულის საზოგადოებების საზღვარზე, სახელდობრ საჭომიას სერზე, ორ ორკლასიან სასწავლებლებს ვაჟთათვის და ქალთათვის. პირველს ექნება სამეურნეო განყოფილება, სადაც ასწავლიან ბავშვებს მევენახეობას (ამერიკულ ვაზის მოშენებას, ვენახის დამყნობას, გამრავლებას, მოვლას); მეღვინეობას, მებოსტნეობას, მებაღეობას (ხეხილის დამყნას, მოვლას და მოშენებას); მეფუტკრეობას, მჭედლობას და დურგლობას. მეორეს ექნება პროფესიონალური განყოფილება, სადაც ასწავლიან ჭრას, კერვას, აბრეშუმის ჭიის მოვლას, აბრეშუმეულობის ქსოვას, მეთოჯახეობას, ფრინველის მოშენებას და ფეხსაცმლის კერვას.

ვაჟთა ორკლასიან სასწავლებლისათვის ხალხმა უნდა დაამთავროს დაწყებული ქვის შენობა, რომელიც შეიცავს 8 ოთახს, უნდა ააშენოს სამზარეულო 4 განყოფილებიანი, სეფა (შეშის დასაწყობი) და საპირანი(?). უნდა მისცეს სასწავლებელს შეშა, ნავთი და მოსამსახურე, სამეურნეო განყოფილების სასწავლებლთათვის უნდა ააგოს ბინა. უნდა მისცეს განყოფილებას 10 ქცევა ადგილი და თუ საჭირო იქნება მიწის რაოდენობა 20 ქცევამდე აიყვანოს. ქალთა სკოლას ხალხმა უნდა აუგოს ხის შენობა (წაბლის ხისაგან) ექვს ოთახიანი უნდა ააგოს აგრეთვე სამზარეულო ორ განყოფილებიანი, სეფა და საპირანი; მისცეს შეშა, ნავთი და მოსამსახურე. პროფესიონალურ განყოფილებას უნდა მისცეს ორი დესეტინა მიწა და მასწავლებელთ ბინა. ყველა მასწავლებელს ბინა სკოლაშივე ექნება.

ხალხი სთხოვს მთავრობას, ვაჟთა ორკლასიანს სასწავლებლისათვის ჳ მასწავლებლის, სამღვთო სჯულის და სამეურნეო განყოფილების მასწავლებლის მუდმივ ჯამაგირს; საქალებო სასწავლებლისათვის—ორ მასწავლებლის და სამღვთო სჯულის მასწავლებლის ჯამაგირს და ერთ დროებით 1000 მანეთს დახმარებას ქვის შენობის დასამთავრებლად. რაც შეეხება დანარჩენ მასწავლებლების ჯამაგირს, სკოლის მოწყობას, სამეურნეო განყოფილების მოწყობას ხალხი კისრულობს იმის მეოთხედის გადახდას, რასაც მთავრობა დახარჯავს ერთ დროებით თუ მუდმივად.

განაჩენი ადგილებით მიიღო ხალხმა და ხელიც მოაწერა. შემდეგ ადგილობრივ მამასახლისმა და ბოქაულმა შეამოწმეს და მ. ხუნდაძემ წარუდგინა სახალხო სკოლების ინსპექტორს ბ-ნ მაჭავარიანს. ინსპექტორმა უკვე აღძრა შესაფერი შუამდგომლობა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის წინაშე. ეს შუამდგომლობა თითონ მ. ხუნდაძემ წაიღო ქუთაისში დირექტორთან. როგორც ნამდვილ წყაროებიდან გავიგეთ, დირექტორს შუამდგომლობა დაუკმაყოფილებია მცირედის ცვლილებით და თავის მხრივ აღუძრავს შუამდგომლობა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე. შუამდგომლობაში დირექტორი სთხოვს მზრუნველს მისცეს აღნიშნულ სოფლებს მიმდინარე სამოსწავლო წლის 1 სექტემბრიდან მასწავლებლების ჯამაგირი 1170 მანეთი, ხოლო მომავალ წლის 1 იანვრიდან მიუმატოს 720 მანეთი და მისცეს 1000 მანეთი შენობის დასამთავრებლად. რაც შეეხება აგრონომიულ და პროფესიონალურ განყოფილებებს, ისინი გაიხსნას მხოლოდ მაშინ როდესაც ხალხი სამოსწავლო მთავრობას გადასცეს განაჩენში აღნიშნულ მიწებს და შენობებს. ამგვარი შუამდგომლობა დირექტორისა მ. ლუკა ხუნდაძემ მიართვა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს.

სრული იმედი გვაქვს, რომ მზრუნველი შეიწყნარებს ხალხის სურვილს და გადასდებს საჭირო ფულს. თუ ეს იმედი გამართლდა ზემოხეთის საზოგადოების რამდენსამე სოფელს ახლო მომავალში ექნება ორი ორ-კლასიანი სასწავლებელი თავის განყოფილებებით. სიხარულით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საქმეში მეტად დიდი შრომა მიუძღვის მ. ლ. ხუნდაძეს. ნუ დავივიწყებთ, რომ იმავე მ. ლ. ხუნდაძის მეოხებით ზემოხეთის საზოგადოებაში დამტკიცდა „იარმარკა“ და საკვირაო „ბაზრობა“, რომლის შემოსვლის დანიშნულებაა საზოგადოებაში სწავლა-განათლების გავრცელება, სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესება და საქიმო მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მისსავე მოქმედებისა და სიტყვის ნაყოფია, რომ ზემოხეთის საზოგადოებაში დღეს ვერ ნახავ ვერც ერთ ქურდსა და ბაცაცას. მომავალში მამა ხუნდაძეს აზრადა აქვს ამავე დროს საზოგადოებაში საზოგადოების სახელზე გახსნას ათთიაქი და სთხოვოს მთავრობას დაარსდეს საავადმყოფოს განყოფილება, გაჰყავს გზატკეცილი ზემოხეთის საზოგადოებიდან სადგურ საჯავახომდე და სხვა.

ვუსურვებთ დაუღალავ მოძღვარს ყოველივე სურვილის განხორციელებას.

დასასრულ, მივმართავთ ზემოხეთის საზოგადოებიდან სხვა და სხვა ქალაქში გადახვეწილ პირთ და ვთხოვთ, შეეწეობა აღმოუჩინონ მ. ხუნდაძეს და იმის მიერ დაწყებულ საქმეებს. როგორც ფულით, ისე სიტყვით და საქმით სხვა და სხვა დაწესებულების და პირის წინაშე.

ახხანაგობის მინდობილობით
**ლადიკო ყენია.**

---

**ოდესა.** ოდესის ქართველი მუშები არ ივიწყებენ ძვირფას ვასილ მოსეს ძე პეტრიაშვილს და იმის სულის მოსახსენებელ ნახევარი წლის პანაშვიდს ყველანი დაესწრნენ. ესევე არ ითქმის ადგილობრივ სტუდენტებზე. დაესწრო სამას ქართველ მოსწავლიდან მხოლოდ ათი კაცი, იმის მიუხედავად, რომ პანაშვიდი უნივერსიტეტის ეკლესიაში იქმნა გადახდილი. ასე აფასებენ ჩვენი სტუდენტები იმ კაცის ხსოვნას, რომელსაც ოდესის საზოგადოებამ უდრმესი პატივისცემა უძღვნა და დღესაც იმის საფლავს ცოცხალ ყვავილებით ამკობს.

ყველა ეს მოწმობს, თუ რა სულიერი შინაარსი, რა მისწრაფება უდევის ჩვენ მოსწავლე ახალგაზრდობას გულში. ერთი გამოჩენილი ადამიანთაგანი, უდიდესი პატიოსნებით შემკული ქართველი კაცი, მეცნიერი კაცთ-მოყვარე, ჩვენის ახალგაზრდობის თვალში ხსოვნის ღირსიც არ არის. **აქაური.**

# ეგნატე ნინოშვილის

**ძეგლის ასაგები თანხა.**

„ჯეჯილის“ რედაქციამ ეგნატე ნინოშვილის ძეგლის ასაგებად მიიღო: სალხურ საგუნებიდან მოსე ბარამიძის მიერ შეკრებილი: ქ-ნი ბარამიძე 1 მ., ი. ბარამიძე 1 მან., ა. ნადარეიშვილი 50 კ., ა. დომთათიძე 50 კ., ს. ფარცხალაძე 1 მ., ი. გიგინეიშვილი 50 კ., ს. ქაჯაია 10 კ., ლეტაიში 2 მ., დ. გოგიტიძე 1 მან., ა. შაფათავა 1 მ., ს. გაგუა 50 კ., ს. გაბუნიამ 1 მ., ა. თევზაძე 30 კ., მ. ტყეშელაშვილი 50 კ., მ. გოდაძე 50 კ., დ. ჩიგოგიძე 20 კ., ი. ძაგუა 20 კ., ვიკენტი კანდელაკი 1 მ., ვ. მიქაძე 1 მ., ი. ბოლქვაძე 1 მ., ე. კახიანი 50 კ., ი. კვარაცხელია 1 მ. და რ. ერისთავი 50 კ. სულ შესდგა 17 მ. 70 კ. ადრინდელი ფულით არის 260 მ. 20 კ.

# რუსეთი

✦ **ებრაელების თხოვნა.** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს ნესელოვიჩს დაბა პოჩაევის ებრაელებისაგან წერილი მიუღია: ებრაელები სთხოვენ დეპუტატს, გვიშუამდგომლე, რომ როგორმე თავიდან აგვცილდეს აწიოკებაო. საქმე იმაშია, რომ ამ რამდენიმე ხნის წინად პოჩაევში არქიმანდრიტ ვიტალის თაოსნობით პოჩაევის ლავრასთან დაარსდა «ჭეშმარიტ რუსთა კავშირის» განყოფილება. ამ განყოფილებას ქრისტიან მცხოვრებლებში პროკლამაციები და პროშიურები გაუვრცელებია, ებრაელები უნდა ამოვწყვიტოთო. პროშიურები და პროკლამაციებმა რომ ვერ გაუჭრია, არქიმანდრიტის ვიტალის რჩევით, „კავშირის“ განყოფილების საწყობისთვის ორჯელ ცეცხლი წაუკიდებიათ და ეს ებრაელებისთვის დაუბრალებიათ. მცხოვრებლებსაც დაუჯერიათ და ეხლა ებრაელებს აწიოკება მოელით თურმე. დეპუტატ ნესელოვიჩს ეპისკოპოს ევლოგისთვის მიუმართავს, რომელსაც ეპისკოპოს ანტონისთვის გადუცია ყველაფერი. ეპისკოპოსი ანტონი დაჰპირებია, ზიამებს მივიღებ აწიოკების წინააღმდეგაო...

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ვილნოში 1, ლოძში 4, კიევში 2, ხარკოვში 1, ეკატერინოსლავში 2, კამენეც-პოდოლსკში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ეკატერინოსლავში 5, ოდესაში 3, ვარშავაში 2, ხარკოვში 1 კაცი.

✦ **ხოლერის მსხვერპლი.** ქალაქ პეტერბურგში ხოლერის დაწყებიდან აქნობამდის ავად გამხადა 10,27(?), გარდაცვლილა 4,999, მორჩენილა 6,206 კაცი.

✦ **საკომერციო აკადემია.** სავაჭრო საქმეთა მინისტრს გადაუწყვეტია, პეტერბურგში ამ ცოტა ხანში დაარსოს უმაღლესი საკომერციო აკადემია.

✦ **იმიერ-კასპიის ოლქის მოხელენი.** სენატორ პალენის რევიზიის შემდეგ სამართალში მიუციათ მთელი მოხელეების ნახევარი, რომელნიც სულ დატუსაღებულნი არიან. ამათ ხაზინის ფულიდან გაუფლანგიათ 65,000 მანეთი. ამას გარდა ამათ ჰბრალდებათ ქრთამის აღება, ძალით და მუქარით ფულის გამორთმევა და სხვა.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ქ-ნ ეკ. გაბაშვილის შესახებ ამას წინად დაბეჭდილ წერილში ნიკ. ინაშვილი ჟურნალ „მნათობის“ ყოფილ რედაქტორად არის მოხსენებული. იქნება ლაპარაკიც არა ღირდეს იმაზედ, თუ ვინ როდის რას აკეთებდა, ოღონდ კი გაკეთდეს რამე ჩვენში, მაგრამ მაინც მგონია სჯობდეს ყველა საქმე მის გამკეთებელს მივაწეროთ—სიმართლისთვის, ანუ თუნდა იმიტომ, რომ მისი (საქმის) რამ ნაკლი სხვას არ მოეახვიოთ კისერზედ. ამიტომ მაინც მოვალედ ვრაცხავ ჩემს თავს ყურადღება მივაპყრა იმ ცნობას და მოგახსენოთ, რომ ნ. ინაშვილი არასოდეს არა ყოფილა „მნათობის“ რედაქტორად—არ ფაქტიურად და არც ფორმალურად. „მნათობის“ პირველ ნომრებში მხოლოდ რამდენიმე სტატია არის მისი დაბეჭდილი, რადგან, სამწუხაროდ, მალე დასნეულდა და გარდაიცვალა. რაკი განსვენებული გაიიხსენეთ, უნდა ვსთქვა, რომ იგი იყო მეტად ნიჭიერი, შრომის მოყვარე და განვითარებული ყმაწვილი კაცი და იმის უდროო სიკვდილით ჩვენმა სასოგადოებამ მომავალში თვალსაჩინო მოღვაწე დაჰკარგა. ხოლო რაიცა შეეხება „მნათობის“ რედაქტორის ვინაობას—ის ის გახლავართ, თქვენი უმორჩილესი მონა.

**ნიკ. ავალიშვილი.**


# განცხადებანი



1/5

კავკასიის ამხ—ბა სათესლე მეურნეობისა
# კვეეს და ამხ.-ბა
ტფილისი, მიხეილის პრ., 55., ჰყიდის: უმაღლეს თვისების საბოსტნე, საყვავილე და სასოფლო-სამეურნეო თესლეულობას.
თესლი იუნჯისა, საუკეთესო თვისებისა, 1 ფუთი—17 მანეთად, 1 გირვანქა—50 კაპ.
**პრეის-კურანტი უფასოდ.**
(10—ხალ.—5)

**ექიმი ი. ს. ხუნდაძე** ქუთაისში ... ქალთა ... ... ... 19—... ... (წლ.—6.—31)

პირველი კერძო სამკურნალო
# დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
უოველ დღე, კვირეებს გარდა
**დ ი ლ ი თ:**
**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათმ. საბებიო და ქალებისა.
**ს ა ღ ა მ ო თ ი:**
**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ.—1—53)

# სამკურნალო
გარედან მოსიარულეთათვის
**ექიმი ა. ი. გრიგორიანისა.**
რიყის ქ., ს. N 78, (სათივე მოედ. პირდაპირ.)
**ს. მ. ასპისოვი**—ყელისა, ცხვირისა და ყურისა 2—3 საათამდე.
**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიული ავადმყოფობანი 12—1 ს.
**ს. ზ მირზოევისა**—თვალის ავადმყოფობანი 12—1 ს.
**ი. ა. ფრიდონოვი**—შინაგანი და ბავშვის ავადმყოფ. 1—2 ს.
**ს. ა. თარხანოვი**—ბებიაობა, ქალისა და ბავშვის ავად. 9 ნახ.-დან 10 ნახ.-ს.-მდე.
**ა. ი. შახ-აზიზოვი**—საშარდე, ვენერ. (სიფილ.) და კანისა 2—3 ს.
**ნ. ბ. ნარიმანოვი** -შინ. და ქალ. 11—12 ს., 5—6 ს.
**ე. მ. ზვიაგინა** - კბილ. 9—11 ს.
**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**
ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით.
სამკურ. გამგე დ-რი **ა. ი. გრიგორიანი.** (100—ხალ.—21)

**ბავშვებისათვის საალდგომო საჩუქარი**
ამ კვირაში გამოვა ორი სახალხო ზღაპარი ფერადი სურათებით
1
# „მამაცი მგზავრები“
ფასი 25 კაპ.
2
# „მშიერი მგელი“
ფასი 10 კაპ.
იყიდება წერა-კითხვისა და ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიაში. მთავარი საწყობი: Тифлисъ, книжный магазинъ „Общества Грамотности“. ვინც ათობით გამოიწერავს საწყობიდან, დაეთმობა 20%, გზის ხარჯი მყიდველისაა. (10—154—3)

# 60 მანეთიანი 30 მანეთად





ქ. ქუთაისში
# ა. რ. თაგაგრის მაღაზიაში
თეატრის გვერდით
მუდამ იყიდება საუკეთესო საკერავი მაშინები, ველოსიპედები, ჩულქის საქსოვი მანქანები, გრამოფონები და ყოველივე მათი მოწყობილება. ვღებულობთ გამოსვლისათანავე ახალ-ახალ ფირფიტებს და სხვ. საქონელს ვღებულობთ საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებიდან სათითაოდ შემოწმებულს, რისთვისაც ვიძლევით გარანტიას.
**ფასები შესამჩნევად დაკლებულია**
ხელის მაშინა სხვის 60 მანეთიან მაშინებთან შედარებით ჩვენთან 30 მანეთი ღირს.
ჩვენ მაღაზიას აგენტები ჰყავს ყველა ქალაქსა და დაბაში. წერილობით მიწერ-მოწერის პასუხს სწრაფად ვიძლევით.



შეიძლება საქონლის დაბარებაც ზედ-დადებულ ფასით. თუ გაგზავნილი საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ.



**60 მანეთიანი 30 მანეთად**
(100—6—26)